ივლისი
1930 წ.
№ 55

საქართველო

La Géorgie
Indépendante
Revue mensuelle
JUILLET
1930—№ 55

საქართველოს პოლიტიკური პარტიების ორგანო.

შინაარსი:

ქაქუცას ცხოვრება.
ეროვნული დაკრძალვა.
სიტყვები.
მეთაური—სტალინიზმი.
ვიკ. ნოსაძე—საქართვ. გეოპოლიტიკისათვის.
—ლი—გ.—საქართველო ციფრებით.
რ. ინაილი—სტამბულის სავანის ავკარგი.
საქართველოს ამბები.
უკრაინელთა შორის.
საბჭოთა რუსეთში და სხვ.

ქაქუცა ჩოლოყაშვილი
(1888—1930)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქაქუცას ცხოვრება

დაბადებული 14 ივლის—დღე ბასტილიის აღებისა—1888 წელს სოფ. მატანში, ქაქუცა იყო შვილი თავად იოსებ და დარია ჩოლოყაშვილებისა. ქაქუცა მისმა მშობლებმა პირველ ქართულ გიმნაზიაში მიაბარეს, რომელიც დაარსა და ინახავდა თავადაზნაურობა, თუმცა მასში მოსწავლეთა დიდი ნაწილი გლეხობას ეკუთვნოდა. მაშასადამე, ქაქუცა კიდევ ბავშვობიდან ისეთ წრეში მოხვდა, სადაც დედის მიერ შინ ჩანერგული მამულის სიყვარული და ერთგულობა პედაგოგიის ქვაკუთხედად ითვლებოდა.

ოცდაერთი წლისა ქაქუცა უბრალო ჯარისკაცად გაიწვიეს და მსახურებდა ტვერის დრაგუნთა პოლკში, საიდანაც შინ ოფიცრად ბრუნდება. 1913 წ. შეირთო ცოლი და ორი ქალი შეეძინა.

დიდი ომის დაწყებისას, 1914 წ., ქაქუცა ისევ ჯარშია და იხვეჭს სახელს გალიციის, კავკასიის და მესოპოტამიის ფრონტზედ. იჭრება ბევრხელ და ერთი ეს ჭრილობა—მკერდში—მიზეზია მისი ჭლექით დასნეულებისა და უდროოთ გარდაცვალებისა.

რევოლიუციის დასაწყისში, 1917 წ., ქართული ცხენოსანი პოლკი ფრონტიდან სამშობლოში ბრუნდება და მას თან ჩამოყვა მრავალი საუკეთესო ოფიცერი, მათ შორის ქაქუცაც. ეს ის ხანა იყო, როცა ჩვენს დედა-ქალაქს გაბოლშევიკებული რუსის ჯარები ემუქრებოდენ და. ვინაიდან მაშინ ჩვენ შეიარაღებული ძალები არ მოგვეპოვებოდა, ქართულმა ცხენოსანმა პოლკმა დიდი სამსახური გაუწია წესრიგის დაცვას.

როცა პოლკი დაშალეს, ქაქუცა ბრუნდება თავის სოფელში და იქიდან ხელს უწყობს ეროვნულ ძალთა ორგანიზაციას. ამ დროს ქაქუცას აინტერესებს საქართველოს ტერიტორიალური მთლიანობა და თავის მოქმედების ბაზა კახეთიდან საინგილოში გადაქვს, სადაც მისი პოპულიაობა დღე-დღეზე მატულობს. გვახსოვს საინგილოს დეპუტაცია, მარტო მაჰმადიანებისაგან, ოზაკომის საშინაო საქმეთა წევრის წინაშე, რომელიც დაჟინებით მოითხოვდა ქაქუცას საინგილოში განწესებას ოლქის კომისრად.

როცა სახალხო გვარდია დაარსდა, ქაქუცა და ბევრი მისი ამხანაგი ოფიცრად შედიან და ერთგულათ მსახურობენ მუშურ-გლეხურ რევოლიუციურ ჯარში: ქაქუცა მონაწილეობს ყველა იმ ომებში და აჯანყებათა ჩაქრობაში, რომელსაც მოსკოვი უწყობდა ნორჩ სახელმწიფოს.

დადგა საქართველოს განსაცდელის დღე, მას იკავებენ რუსის ჯარები, და ქაქუცა ოცნებობს ქვეყნის განთავისუფლებაზე. მაშინ იბადება მის თავში პარტიზანულ ომის იდეა, რასაც კიდეც ანხორციელებს. ქაქუცა «ტყეშია» თავისი შეფიცულებით, თუმცა მის არსებობას გრძნობენ ყველგან. ერთხელ ტფილისსაც ესტუმრა! ქაქუცას რაზმის საქმენი საგმირონი თავის ნიჭიერ ამწერლებს ელიან, დაუშრეტელი წყაროა ამისათვის თვით ხალხის ხსოვნა-თქმულებანია.

1922 წ. აჯანყება იწყება ხევსურეთში, იქიდან ცეცხლის ალი დუშეთში გადადის და თითქო მთელს საქართველოს მოედო. სათავეში ქაქუცაა. რომლის რაზმები უკვე ბრძოლებს აძლევენ მტერს. პოლიტიკურ პარტიებში არაა ერთსულოვნება, მაგრამ ბოლოს მაინც ადგენენ. სოციალდემოკრატიის მოთხოვნით, ცეცხლის ჩაქრობას, რასაც კიდევ აღწევენ ქაქუცასთან დაკავშირებით. საგულისხმიეროა სამშობლოში შემდეგ ჩასულ ნოე ხომერიკის აზრი ამ ამბების შესახებ: 1922 წლის აჯანყება გაიმარჯვებდაო!

ამის შემდეგ ქაქუცას კავშირი პოლიტიკურ პარტიებთან უფრო მჭიდრო და აშკარა ხდება. ქაქუცა ოცნებობს კავკასიის მთლიან გამოსვლაზე, ის გადალახავს უღელტეხილს და აბამს ბრძოლის კავშირს მთიელებთან.

დაუვიწყარია საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის ქაქუცასთან შეყრა მანგლისის ტყეებში, აგვისტოს აჯანყების წინა დღეებში: ცერემონია, ლოცვა, კოტე ანდრონიკაშვილის მიერ ქაქუცასათვის ბელადის დროშის გადაცემა... დანარჩენი ვიცით.

აი მოკლეთ. სულ მოკლეთ, ქაქუცას ცხოვრება. და ასეთ ადამიანს განა შეეძლო ემიგრანტულ სულისკვეთების ატანა?! ერთი რამ ქაქუცასთვის სიკვდილამდის გაუგებარი დარჩა: რაღა დროის შუღლი და დავიდარებაა, როცა სამშობლო განსაცდელშიაო—შესჩივლებდა ის პარტიულს თუ უპარტიოს, მუშას თუ გლეხს, მხედარს თუ ინტელიგენტს.

როცა ქაქუცა თავის საყვარელ ნინოს, ქართლის დედის, მიერ გამოტანებულ მშობლიურ მიწას თავის ხელით მკერდზედ იყრიდა. ამბობდა: მე ყველა მიყვარს, შეფიცულები, ქართველები განურჩევლათ, მაგრამ საქართველო ყველაზე მეტათო.

და აბა თუ არა ჰგავს ეს უკანასკნელი სიტყვები მის ახოვან, მომკინარე, რაინდულ სახეს. დახეთ თარიღს: 28 მაისი 1930 წელი! რას ნიშნავს ეს? ქაქუცა 26 მაისის მილოცვაზე უგზავნის უბრალო მუშას თავის სურათს და ზედ აწერს: «საჩხერე-ლეჩხუმელ ვაჟას ვალიკოს ხევსურ ვაჟასაგან. პრას კუტანი». ამით ყველაფერი სთქვა ქაქუცამ. ის ეკუთვნოდა ხალხს, და დარჩა მის ეროვნულ გმირად.

ეროვნული დაკრძალვა

ქაქუცას ეთქვა სამი დღის წინ გარდაცვალებისა (26 ივნის ღამის 10 საათი 40 წუთი პრას კუტანის სანატორიუმში, ოტ სავუაში) დამწვითო, და ამით ის ფიქრობდა თავის ნაშთის სამშობლოში გადატანის გაადვილებაზე. მაგრამ ეს არ ინებეს შეფიცულებმა და მათი ბელადი დროებით, სამშობლოს განთავისუფლებამდე, ჩასვენებული ცინკისა და მუხის ორმაგ კუბოში, დაკრძალულ იქნა მტკიცე აკალდამაში, სანტ-უანის სასაფლაოზედ, პარიზში.

დაკრძალვა თავს იდო საფრანგეთში მყოფ ქართველთა ასოციაციამ, და მიიღო მან ნამდვილი ეროვნული ხასიათი. 5 ივლის დანიშნულ საათზე ბერძნის ეკლესია მთლათ გაიჭედა ქართველებით. მეზობელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა, უკრაინის, თურქესტანის, პოლონეთის წარმომადგენელნი ბლომათ იყვნენ, მაგრამ ფრანგები ყველას ჭარბობდენ. იყვნენ ინგლისელნიც, სხვადასხვა დიპლ. მისსიების ატაშენი. ვინც ვერ დაესწრო, სამძიმარი დეპეშები და წერილები გამოგზავნეს, როგორც მაგ.: გენ-ბი გურო და პო, ერრიო, მარკიზ-დებაი, სულიე, ა.ბ. ბუასონ, ალენი, ბონ, პერრო და სხვ. იყო აგრეთვე ფრანგულ პრესაში წერილები და სურათი ქაქუცასი.

პანაშვიდზე გალობდა ქართული გუნდი პავლე მოსულიშვილის ლოტბარობით, და ქართულმა ჰანგებმა ერთობ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა უცხოელებზე. ცხედარის ეკლესიიდან გამოსვენებაში მონაწილეობა მიიღეს მთავრობის თავმჯდომარემ ნ. ყორდანიამ, ასოციაციის თავმჯდომარემ დ. სხირტლაძემ, გენ. გ. კვინიტაძემ, შეფიცულებმა.

შავებში მოსილი სამგლოვიარო ეტლი მთლათ დაფარული იყო გვირგვინებით და თაიგულებით ცოცხალ ყვავილებისგან, აგრეთვე ლითონის. კუბოს გარს ეხვია საქართველოს დროშა. ზედ ედო ქაქუცას ამოღებული ხმალი. ჩვენ აქ ჩამოვთვლით იმათ, ვის სახელს გვირგვინები და თაიგულები ატარებდენ ეროვნულ ფერებზე, თუმცა არა ვართ დარწმუნებული, რომ სია უკლებია: საქართველოს ეროვნული მთავრობა და პარტიათა წარმომადგენლობა. საფრანგეთის ქართველი კოლონია, შეფიცულები, ქართველი მხედრები (ლითონის დაფნის გვირგვინი), საქარ. ეროვნ.-დემოკრ. პარტია (ორი), ქართველი სტუდენტების კავშირი, ქართვ. სტუდენტები, თეთრი გიორგელები, იუნკრები, საქართველოს ფრანგი მეგობრები, საერთაშორისო პოლიტიკური ბიურო, საფრანგეთ-საქართველოს კომიტეტი, მომპელიეს ქართველები, ქართველ კათოლიკეთა ასოციაცია, ყოფილი ქართველი დრაგუნები, ტვერის დრაგუნები, უკრაინელთა ასოციაცია, ინგლისის დეპუტატი ალენი, ს. ციციშვილი (ეკლის გვირგვინი), გ. ბერიძე, უკრაინ. ერემეევ, დადეშკელიანები, თამარ ერისთავი და სოფ. მელიქიშვილი, ფ. წულუკიძე, ვ. და ა. ერისთავები, კ. წულუკიძე, მ. და გ. ერისთავები, სერგო, დავითი, რუსუდან და ალექსი მდივნები, მაკრინე და აკაკი ჩხენკელი.

სამგლოვიარო პროცესია ძალიან გრძელი იყო, გასტანა ორი საათი, სანამ სასაფლაომდე მიაღწევდა; როცა ტრიუმფის თაღს გაუსწორდა, უცნობ ჯარისკაცს რომ ფარავს, პროცესია გატარებულ იქნა ფილმში. სასაფლაოზედ მრავალი სიტყვა წარმოითქვა, ჩვენ ვბეჭდავთ, უადგილობის გამო, მხოლოდ მათ მოკლე შინაარსს, თვით ორატორების მიერ გადმოცემულს.

სიტყვები

1) დ. სხირტლაძე. საფრანგეთში მყოფ ქართველთა ასოციაციის თავმჯდომარე.

2) ე. გეგეჭკორი, მთავრობის წევრი.

3) ა. თოფჩიბაში, აზერბ. დელეგ. თავმჯდომარე.

4) ა. ხატისიან, სომხეთის დელეგ. თავმჯ. ამხანაგი.

5) ჰ. ბამატ, მთიელთა დელეგ. თავმჯდ. ამხანაგი.

6) ა. შულგინ, უკრაინის ყოფილი საგარეო მინისტრი და დიპლომატიური მისიის უფროსი პარიზში.

7) ფაიე, ფრანგი. წარმოთქვა მხურვალე სიტყვა ყოფილ მინისტრის ლუი მარენის სახელით. მიუხედავათ მიღებულ ზომებისა, სიტყვამ ვერ მოგვისწრო. ხაზს უსობდა საფრანგეთის მოვალეობას, რომ გმირ ქართველ ერს მხარი დაუჭიროს და ძმურათ მიიბაროს ქაქუცას ნაშთი, სანამ მისი სამშობლო განთავისუფლდებოდეს.

8) შ. ამირეჯიბი, საქ. დამოუკ. კომიტ. ყოფ. წევრი.

9) ი. ჯაფარიძე, გენერალი. 10) გ. გვაზავა. 11) გ. ბერიძე. 12) შ. ნებიერიძე, შეფიცული. 13) ა. სულხანიშვილი, შეფიცული.

——

1) დ. სხირტლაძე.

ძვირფასო მამულიშვილო და ძმაო ქაქუცა!

ამ ექვსი წლის წინედ, მთელი გადმოხვეწილი ქართველობა მოგეგება შენ სიხარულით და აღტაცებით, როცა შენ ხანგრძლივი და უთანასწორო, მაგრამ გმირულ ბრძოლის შემდეგ ქვეყნის განთავისუფლებისათვის, გარემოებამ გაიძულა დაგეტოვებინა დროებით სამშობლოს მიწა-წყალი, და ჩამოხვედი აქ საფრანგეთში.

დღეს იგივე ქართველობა ცრემლით და მწუხარებით გეთხოვება შენ, ძვირფასო გმირო, სამარის წინ.

დიდია და მნიშვნელოვანი შენი დამსახურება და შენი როლი საქართველოს ისტორიაში: შენ ვერ შეურიგდი სამშობლოს დამხობას, ვერ შეურიგდი უცხო ქვეყნის შემოსეულ ძალებს.—შენ იშიშვლე ხმალი და ამხანაგებთან ერთად ოთხი წელიწადი გმირულად აწარმოე, თითქმის ხელჩართული, ბრძოლა შემოსეულ მტრის წინააღმდეგ, საქართველოს უფლების და ეროვნული ღირსების აღსადგენათ.

შენ შენი გმირობით და თავგანწირვით წინ დაუყენე განათლებულ კაცობრიობას ქართველი ერის ნამდვილი სახე და მისი შეუდრეკელი ნებისყოფა დამოუკიდებელ არსებობისათვის.

აქაც, უცხო მხარეში, შენ შეინარჩუნე შენი რაინდული ბუნება და ხასიათი: შენ იდექი ყოველ პარტიულ თუ ჯგუფურ ბრძოლის გარეშე და მაღლა და დაიმსახურე ყველას სიყვარული. შენ ეტრფოდი მხოლოდ ეროვნულ მთლიანობის განმტკიცებას და მოუთმენლად ელოდი იმ ჟამს, როცა გაიხსნებოდა გზა,—გზა ისევ ბრძოლისა, რომ მიგეტანა სამშობლოს სამსხვერპლოზე შენი ჯანი და შენი სიცოცხლე.

მშვიდობით, ძვირფასო და დაუვიწყარო მამულიშვილო! შენი სახე და სახელი დარჩება სამუდამოთ აღბეჭდილი ქართველი ერის გულში, საიდანაც იმას ვერ წაშლის ჟამთა ცვალება და დროთა დენა. მშვიდობით გმირო! მშვიდობით ჩვენო ქაქუცა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

2) ევ. ბეხეპკორი.

ძვირფასო ქაქუცა!

მოქმედების და ბრძოლის ადამიანი, ვიცი, შენ არ იყავი სიტყვიერი მჭერმეტყველების მოტრფიალე და მეც ამ უკანასკნელ გამოთხოვების დროს მხოლოდ ორიოდე სიტყვით მინდა მოგმართო, რათა გამოვსთქვა ის უღრმესი მწუხარება და ტკივილები, რომელსაც ქართველ ერთან ერთად მისი მთავრობა გრძნობს შენი დაკარგვის გამო.

თუ დღეს შენ მშობლიურ ქვეყანაში საყოველთაოთ გლოვის ზარი არ გაისმის; თუ ქართველი დედა სამგლოვიარო ძაძებში არ არის გახვეული—ეს იმიტომ, რომ შენი მიჯნური ნესტან-დარეჯანი, საქართველო, ტყვეობაშია; რომ ის მძიმე რკინის ხუნდებშია ჩაჭედილი და იგი იძულებულია დროებით მწუხარების ბოღმა შიგ გულში ჩაიმარხოს და თავის საყვარელი შვილი სხვის მიწას მიაბაროს.

შენ სცადე მონობის ბორკილების დამსხვრევა. და ვინც არ იქნეს საქართველოს მემატიანე, იგი იმ გმირულ ბრძოლას, რომელსაც შენ წლების განმავლობაში აწარმოებდი და რომელსაც შენი ჯანმრთელობაც შესწირე, სპატიო ადგილს მიუჩენს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

შენ შენი მოვალეობა ერის წინაშე პირნათლად შეასრულე; მხოლოდ უმოწყალო ბედმა არ გარგუნა მოსწრებოდი ბედნიერ დღეს სამშობლოს განთავისუფლებისა. ულმობელმა სიკვდილმა შესწყვიტა შენი კეთილშობილი გულის ცემა და მებრძოლ საქართველოს საუკეთესო შვილი ხელიდან გამოსტაცა.

მაშ განისვენე, ძვირფასო ქაქუცა, სრულიად დარწმუნებული, რომ როცა თბილისის სასახლეზე თავისუფლების დროშა კვლავ აფრიალდება, მადლიერი ერი თავის საყვარელ გმირს უკან დაიბრუნებს და საუკეთესო შვილებთან ერთად ეროვნულ პანთეონში საუკუნოთ დაასვენებს.

3) ა. თოდჩიბაში.

ძვირფასო ბეზობლებო, კიდევ ერთხელ გეწვიათ მწარე ბედი და ჩვენ ადერბეიჯანელები, როგორც ყოველთვის, თქვენთან ვართ და ვიზიარებთ თქვენს მწუხარებას, რომელიც გამოიწვია საქართველოს ერთი საუკეთესო შვილთაგანის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის უდროვო სიკვდილმა.

დაუნდობელმა ბედმა მოიტაცა ეს გმირი, ეს მამაცი მებრძოლი იმ დროს, როცა მის მხნე მაგალითს და თავდადებას საქართველოს და მთელი კავკასიის განთავისუფლების საქმისთვის შეეძლო დიდი სამსახური მოეტანა ჩვენთვის. ის იყო სული და გამძღოლი 1924 წლის აჯახყების. მთელმა ქვეყანამ იცის მისი სახელი, მისი თამამი გმირობა. კავკასიის ყველა ერის წარმომადგენელნი, ქართველი ემიგრაცია, ჩრდილოკავკასიელნი, აზერბეიჯანელნი, სომხები ყურადღებით ვადევნებდით თვალყურს ამ ბრძოლის სხვადასხვა პერიოდებს, რომელსაც უნდა მიეღო მთელი კავკასიის საერთო აჯახყების სახე. მაგრამ ვაი, რომ ბრძოლა მეტად უთანასწორო იყო!

დაუღალავ ქაქუცას ბრძოლას აღტაცებაში მოვყავდით, გვამხნევებდა—სულს უმაგრებდა დაუძლურებულთ და ენერგიას ჰმატებდა მამაცთ. ამ გმირული მოქმედების მეოხებით იყო, რომ კავკასიის ოთხი რესპუბლიკის წარმომადგენელებმა კვლავ იგრძნეს უფრო მჭიდრო დაკავშირების და შეერთების საჭიროება და ხელი მოაწერეს 1924 წ. სექტემბრის 27-ის ხელშეკრულობას.

მართალია, ეს აღსარებული კავშირი ჯერ არაა განხორციელებული, მაგრამ იდეა ჩვენი ძალების შეერთებისა საერთო თავისუფლების მოსაპოვებლად, ჩვენი ძვირფასი კავკასიის განსათავისუფლებლად—დღითი დღე იზრდება და ღრმავდება ხალხის მასების შეგნებაში და დღეს აზერბეიჯანელი და სომხის გლეხები ხელიხელ ჩაკიდებულნი ერთად იბრძვიან ქართველებთან და მთიელებთან ფეხით გათელილ უფლებათა აღსადგენად.

აი ერთი ფრიად დამახასიათებელ შედეგთაგანი ქაქუცა ჩოლოყაშვილის გმირულ მოღვაწეობის. მისი ხსოვნა უკვდავი დარჩება ქართველებსა და კავკასიის სხვა ერებში, რომელნიც არასოდეს დაივიწყებენ იმას, ვინც იყო უერთგულესი მსახური ჩვენი ერების განთავისუფლების და დამოუკიდებლობის აღდგენის.

აზერბეიჯანის დელეგაციის და აზერბეიჯანელთა კალონიის სახელით ვუცხადებ ჩვენს ძმებს ქართველებს და აგრეთვე ძვირფასი მიცვალებულის ნათესავებს და მის თანამებრძოლთ ჩვენს გულითადს თანაგრძნობას და ღრმა სამძიმარს საქართველოს ერთი უღირსეულეს შვილთაგანის, მებრძოლი გმირის ქაქუცა ჩოლოყაშვილის მწარე დაკარგვის გამო.

4) ა. ბატისიანი.

ბ. საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეენება მომეცით სომხეთის რესპუბლიკის დელეგაციის თავმჯდომარეს თქვენის სახით მივმართო საქართველოს მთავრობას, საფრანგეთში მყოფ ქართველთა საზოგადოებას, განსვენებული გმირის და პატრიოტის თანამებრძოლთ და განსაკუთრებით იმ ხალხს, რომელიც შორეულ და ლამაზ საქართველოში, დღეს ჩვენთან ერთად დასტირის ქ. ჩოლოყაშვილის გარდაცვალებას. გთხოვთ მიიღოთ ჩვენი უღრმესი და უგულითადესი მწუხარება და მხურვალე ძმური თანაგრძნობა. განსვენებული ხომ ებრძოდა თავის ქვეყნის მოძალადეებს არა მარტო საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად, არამედ ჩვენი საერთო საქმისათვის. საქართველომ დაკარგა თავისუფლება თავის მეზობლებთან სომხეთთან, ადერბეიჯანთან და მთასთან ერთად. და ისინი ერთადვე დაიბრუნებენ თავისუფლებას. ამიტომ მთელის ჩვენის გულით პატივსა ვსცემთ მას როგორც აღტყინებულ ქართველ მებრძოლს და კავკასიელ რევოლუციონერს, რომელიც ჩვენთვის ყველასათვის ძვირფასია... ამ ახლად გათხრილ საფლავის წინაშე, ამ დაობლებული ახალგაზდობის, მთელი ქართველი ხალხის წინაშე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ გამოვსთქვამთ სურვილს, რომ მალე გაიღოს თავისუფალი საქართველოს კარი და იმის ნეშტი, რომლის წინაშე ყველანი თავს ვიხრით დღეს—დასვენებულ იქნეს მშობლიურ მიწაში და მთელმა ქართველმა ერმა შეამკოს მისი ხსოვნა თავისუფალი საქართველოს ლამაზი ყვავილებით.

5) ჰ. ბამატი.

იმ მწუხარებას, რომელიც დაატყდა საქართველოს, გამოუთქმელის სიმწარით იგრძნობენ ჩრდილო კავკასიის ერები, არა იმიტომ რომ საქართველოს ბედი განუკვეთელად გადაბმულია მათ ბედზე და დამოუკიდებელი საქართველოს საკითხი მათი საკუთარი საკითხია, არამედ იმიტომაც რომ ქ. ჩოლოყაშვილს ვიცნობდით და ის ჩვენ გვიყვარდა. ჩვენი ერების ისტორია მუდმივი ბრძოლაა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ამან აღზარდა მათში რასის ყველაზე მეტად დამახასიათებელი ღირსება—შეუკავებელი სიმამაცე და უსაზღვრო სიყვარული სამშობლოს და თავისუფლების. ამის სიმბოლო ჩვენი ერების თვალში მოდიოდა ეროვნულ საქართველოდან, იმ გმირულ საქართველოდან, რომელიც იტანჯება, მაგრამ მტერს არ ემორჩილება, იბრძვის შეუდრეკელად და მზადაა ყოველი მსხვერპლი გაიღოს დამოუკიდებლობისათვის. არა ერთხელ ჰპოვა ქ. ჩოლოყაშვილმა თავის სალეგენდო ბრძოლების დროს მკვიდრი თავშესაფარი და ძმური მასპინძლობა ჩეჩნეთის ტყეებში და დაღესტნის მთებში... დღეს იმ ერების სახელით, რომელთაც შენ ესოდენ უყვარდი და რომელთა გულში შენი ხსოვნა ცოცხლად იყო მუდამ, გეუბნები მწუხარე გამოსათხოვარს: მშვიდობით განისვენე, რაინდო უშიშარო და უმწიკვლო და დეე, რბილად მიგიღოს საფრანგეთის ტკბილმა მიწამ... შენი საქმე არ მოკვდება, იგი უკვდავია... გითხარი: მშვიდობით განისვენე. მაგრამ ვიცი, რომ ჯერ კიდევ ვერ ჰპოვებ საუკუნო განსვენებას, რადგან თუ შენი უსულო გვამი საფრანგეთის თავისუფალ მიწაში იქნება დაფლული, შენი უკვდავი სული იქროლებს სისხლით მორწყულ და შებორკილ საქართველოს მთებსა და ველებზე და შეუერთდება დამონებული, საზიზღარ და საშინელ უღლის ქვეშ წამებულ სამშობლოს სულს! შენი სული ვერ მოისვენებს, ვიდრე საქართველო, კავკასიის სხვა ერებთან ერთად არ დაამსხვრევს ბორკილებს და არ გახდება კვლავ თავისუფალი და დამოუკიდებელი. მაშინ თავისუფალი საქართველოს მიწა გამოითხოვს თავის ღირსეული შვილის, თავის ეროვნული გმირის ნეშტს, და მხოლოდ მაშინ განისვენებ შენ მშვიდობით. პოეტები იმღერებენ შენს სახელს, ლეგენდად გარდავა შენი გმირობა და სკოლებში ბავშვებს გააცნობენ შენს ბრწყინვალე მოღვაწეობას. ეს დღე შორს არაა, ჩვენ მას ვჭვრეტთ და გადამწყვეტი ბრძოლების წინ კავკასიელთა განთავისუფლებისთვის, ჩვენ ვიტყვით ერთხელ კიდევ ამ ახლად გათხრილ საფლავის წინაშე, რომ არასოდეს, არასოდეს შეურიგდებით სამარცხვინო მონობას, გავყვებით ბოლომდის გზას, რომელსაც შენ მიყვებოდი, მთელის ჩვენი ძალღონით, მთელის ჩვენის არსებით, მთელის გონებით და მკლავით, რომ კავკასიის განთავისუფლების დღე გათენდეს რაც შეიძლება ადრე...

მშვიდობით, ქაქუცა!

6) ა. შულგინი.

ბ. შულგინი თაყვანს სცემს საქართველოს გმირს. უკრაინის ეროვნული მთავრობის, უკრაინის ჯარის და უკრაინელ მამულიშვილების სახელით ძმურს სამძიმარს უცხადებს საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს, ქართველთა კალონიას და ჩოლოყაშვილის თანამებრძოლთ.

როცა ჩოლოყაშვილი კავკასიის მთებში ბრძოლას აწარმოებდა, უკრაინელი აჯანყებულნი ამავე დროს ასევე იბრძოდენ უკრაინის ველებზე.

«ჩვენ უკრაინელები და ქართველები მეტად მშვიდობიანი ერები ვართ, მაგრამ როცა საკითხი შეეხება ჩვენი დამოუკიდებლობის დაცვას, ჩვენ შეგვწევს ამის უნარი და ვიცით ეს საქმე. დასავლეთის ერებმა ერთი მეორის შემდეგ ყველამ მოიპოვეს თავიანთი თავისუფლება. ეხლა ჩვენი რიგია—უკრაინის და კავკასიის, და ეს ახლოვდება. ჩვენ ვიმყოფებით დღეს ჩვენი ბრძოლის რომანტიულ პერიოდში. ასეთ დროს საჭიროა ისეთი პიროვნებანი, რომელთაც აქვთ ჩოლოყაშვილის გამბედაობა და პეტლიურას ენტუზიაზმი. ამბობენ: ადამიანები კვდებიან, ხოლო იდეები რჩებიანო. მაგრამ საქმენიც რჩებიან აგრეთვე. უძლურია იდეა, რომელსაც არ მოსდევს საქმეები. მოქმედება, გმირობა აძლევს ძალას და სიცოცხლეს ჩვენი ერების დამოუკიდებლობის იდეას.

მძიმეა თანამებრძოლთათვის უთხრან თავის წინამძღოლს, მშვიდობით. მაგრამ მათ არ უნდა დაივიწყონ, რომ გმირის გარშემო იქმნება ლეგენდა, რომ მკვდარი გმირი ასულდგმულებს ერს და ის ხშირად უფრო საშიშია მტრისთვის, ვიდრე ცოცხალი.

გულის დამწველია მეგობრებისთვის უდროვო სიკვდილი სიცოცხლით სავსე ადამიანისა, ხოლო მათ არ უნდა დაივიწყონ, რომ ჩოლოყაშვილი ცოცხლობდა თავის სამშობლოსთვის, და მოკვდა მისთვის. და მართალნი იყვნენ ძველები, რომ თქვეს: dulce et decorum est pro patria mori (ტკბილია და სასახელო სამშობლოსთვის სიკვდილი).

8) შ. ამირეჯიბი.

«...როცა 1921 წელს საქართველოს დიდი ეროვნული კატასტროფა ეწვია. როდესაც საქართველოს მთავრობა იძულებული იყო თავის ტერიტორია დაეტოვებინა, როდესაც დაშლილ იქმნა ქართველი ჯარი და დამფუძნებელი კრება გარეკილი, როდესაც დევნილ იქმნენ იმისი პოლიტიკური პარტიები, ხოლო ეროვნული და საზოგადო დაწესებულებანი მოსპობილ, როდესაც მტერმა აღკვეთა საზოგადოებრივი ცხოვრება, ხოლი საზოგადოებრივი აზრის გამოთქმის უფლება სავსებით აღკრძალა—ჯერი მიდგა პიროვნებაზედ, რომელიც ასეთ მძიმე პირობებ-

ში ერის მისწრაფებას და მის იდეალს საჯარო მოქმედებით გამოხატავდა.

ეს მისწრაფება არის საქართველოს დამოუკიდებლობა და ეს პირი იყო თავადი ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი!

მაგრამ რა უნდა ექმნა ერთ კაცს და ისიც ყველას დასანახავად იქ და ისეთ დროს, სადაც ყვალაფერი აკრძალული იყო? რომელია ის სიტყვა, რომელია ის საქციელი, რომელიც ერს მოუწოდებდა, მას მიიმხრობდა და საბრძოლველად დარაზმავდა?

ჩოლოყაშვილმა სთქვა: თავისუფლება ბრძოლით მოიპოვება! ვისაც დამოუკიდებლობა გინდათ—მომყევითო! და ამ გარემოებამ ნათელ ჰყო ის მთავარი დებულება, მანამდე მიჩქმალული, მაგრამ რომლის გამომჟღავნება ქართველი ერის თვითცნობიერებისათვის ასე საჭირო იყო, რომ ქართველ ერს თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობა უანგაროთ უნდა, გარეშე ყოველი რეჟიმული თეორიების, საზოგადოებრივი დოქტრინების, პარტიული ჭირვეულობის, მიუხედავად ყველა დაბრკოლებისა, წინაალმდეგ ყველა მოწინაალმდეგის! და ეს გარემოება ნათელი გახადა ჩვენთვის არა პოლიტიკის კაცმა, არამედ ხმლის კაცმა, რომელიც საქმეს სალი ისტორიული ალღოთი მიუდგა.

მაგრამ საქართველო დაამხო არა მარტო გარეშე ძალის ზარბაზანმა და ხიშტმა, არამედ ქადაგებამაც. რომელიც თავის თავს ხალხურს უწოდებდა და ქართველ ერს «ქართული» რეგალიებით მოევლინა. ბრძოლა ისეთ გარეშე ძალასთან და ისეთ ბოლშევიზმთან, რომელიც ჩვენში «საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის», «საქართველოს საბჭოთა მთავრობის», «საქართველოს წითელი ლაშქარის», «საქართველოს ჩეკისა» და სხვა ამგვარი სახელწოდებით შემოვიდა, არც ისე ადვილი საქმე იყო. ბოლშევიზმი ჰყვიროდა: დიახ. მე ბოლშევიზმი ვარ, მაგრამ მე ქართული ბოლშევიზმი ვარო! რა ხერხი უნდა გამოენახა ჩოლოყაშვილს, რომ მისი ბრძოლა ხალხისათვის გასაგები, მისაღები და თანაც უფრო ქართული ყოფილიყო?

და აი როგორც ძველ რომში უკმაყოფილო მოქალაქენი ავენტინის ბორცვზედ მიდიოდენ და იქიდგან უგზავნიდნენ სენატს თავის მოთხოვნილებას, ჩოლოყაშვილი ტყეში წავიდა და იქიდან იწყო ბრძოლა. ეს იყო არა იმდენად ძველი რომის ჩვეუების გადმოღება, როგორც ჩვენი საკუთარი ქართული ისტორიის გაცოცხლება. აი ამ გარემოებამ გახადა ჩოლოყაშვილი გასაგები და მისაღებიც ხალხისათვის, ამან გამიჯნა ეროვნული საქართველო ბოლშევიზმისაგან და ამითი უნდა აიხსნას, რომ იმისი ბრძოლის კავშირი იყო არა მარტო ეროვნული, არამედ ხალხოსნურიც!

იმ პოლიტიკურ ვითარებაში, რომელშიაც საქართველო იყო, იმ საერთო და გამანადგურებელ ტერორის დროს, რომელსაც ბოლშევიზმი ეწოდება და იმ საზოგადოებრივ მოსპობილობაში, რომელშიაც ყველაზედ ადრე ბრძოლის ძველმა მეთოდებმა დაჰკარგეს თავისი ნიადაგი, აქტივური ბრძოლის ერთად ერთ სახეთ ის მეთოდი იქცა, რომელსაც ჩოლოყაშვილი დაადგა. ამ გარემოებამ ჩოლოყაშვილი ბრძოლის ყველა ამბების შუაგულში ჩააყენა. მის სახელთან იყო დაკავშირებული 1922 წლის აჯანყება და მის მოქმედებასთან უნდა ყოფილიყო გადაბმული 1924 წლის აგვისტოს აჯანყების გეგმებიც. და ყოველივე ეს იმ დიდ მნიშვნელობაზე გვითითებს, რომელიც ჰქონდა ჩოლოყაშვილს მთელ ამ ბრძოლის ისტორიაში.

იმ ხალხურ კავშირში და იმ ბრძოლაში, რომელიც მან შექმნა და აწარმოვა, ის იყო ნამდვილი მეთაური მებრძოლი ქართველების, უდრეკი და მტკიცე მიმყოლი თავის მიზნისა, ღირსი და საყვარელი გმირი თავისი ხალხისა!..»

9) გენ. ი. ჯაფარიძე.

ძმაო ქაქუცა, მთავარსარდლის და ქართველი მხედრობის სახელით, რომელნიც სამშობლოს მოწყვეტილნი აქ ვიმყოფებით, მოგმართავ უკანასკნელი სიტყვით.

ჯერ კიდევ ახალგაზდა მხედარი, მსოფლიო დიდ ომში, შენ იჩენ თავს სამაგალითო სიმამაცით და თაოსნობით,

სამშობლოს დამოუკიდბლობის დროს იღებ მონაწალეობას ყველა ომებში.

და შემდეგ კი, 1921 წლიდან 1924 წლამდე აწარმოებ საქართველოს დამოუკიდბლობისათვის საკუთარი თაოსნობით, არა ჩვეულებრივ ბრძოლას, ძნელსა და უჩვეულო პირობებში.

პირადი მაგალითით, გამბედაობით და თავგანწირვით განაცოცხლე ქართული მხედრული სული.

დღეს შენი დაკარგვა უდიდესი დანაკლისია სამშობლოსათვის და მის მხედრობისათვის, მაგრამ შენი სახელი, ძმაო ქაქუცა, სამაგალითოდ დარჩება.

შენი მოიპოვე ჩვენი ერის ისტორიაში სახელოვანი გმირის სახელი.

ულმობელი სენი გაწყვეტინებს უდროვოდ ბრძოლას, მაგრამ დარჩენილები გაძლევთ სიტყვას, განვახორციელოთ ჩვენი საერთო მიზანი:—საქართველოს დამოუკიდებლობა. ჯერ კი განისვენე აქ, ჩვენო დაუვიწყარო რაინდო.

10) გ. გვაზავა.

ქაქუცა! უცხოეთის ცა დაჰყურებს შენს ცხედარს, უცხოეთის მიწა გახსნილია, რომ მიიბაროს შენი კუბო... სად არის შენი საქართველო? სად არის ის ცა, რომელიც დაჰნათლის შენთა წინაპართ საფლავებს? სად არის ის მთადაბარი, რომლის საზღვრები გამოკვეთილია ამ ოცი საუკუნის ბრძოლით, გაშუქებული თამარ მეფის სახით და ამაღლებული რუსთველის ქნარით?!

ქაქუცა! ეროვნული გრძნობის აშუქებაში აიჭრა შენი სახე, შენი რაინდული სიმტკიცე და თავგამოდება. შენ იშიშვლე ხმალი და გმირულად შეეხეთქე მტერს, ეროვნული ღირსების დასაცველად და შელახულ უფლებათა აღსადგენად. შენ გააცოცხლე

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარსულ საუკუნენი და შემოავლე საქართველოს სახელს ახალი შარავანდედი გმირობის და უკვდავებისა.

ქაქუცა! მე არ მინდა შეურაცხყოფა მივაყენო შენს სახელს და ვილაპარაკო აქ პარტიის სახელით. შენი გმირობა უფრო შორსა სცემს და ეფინება მთელს საქართველოს. დიდი და პატარა, ერი და ბერი, კაცი და ქალი—ყველა შეერთდა. ყველა გადაადგა ერთიმეორის საიდუმლო გულის ძგერამ და, შენი წარმტაცი თავგამოდების მეოხებით, განათლებულ ქვეყნიერების წინაშე დადგა ნამდვილი სახე და სულისკვეთება ქართველი ერის.

ქაქუცა! შენ დაგტირის გაფანტული ქართველობა, შენ დაგტირის მებრძოლი საქართველო და ქართველ დედათა ცრემლის ბრწყინვა იდუმალურად მიასვენებს შენს დაუვიწყარ სახელს საქართველოს გმირთა პანთეონში...

ქაქუცა! ქაქუცა!...

11) გ. ბერიძე.

ბ. ბერიძე გამოეთხოვა იმ მეგობრების სახელით, რომელნიც განსვენებულთან ერთად განიცდიდენ ყოველთვის გულის ტკივილს სამშობლოს უბედურებით და დღეს დასტირიან მის დაკარგვას.

ქაქუცამ გმირულად შეასრულა მისი მოვალეობა, სამშობლოს განთავისუფლებას მან თავი შესწირა, და დღეს ის ჩვენზე უფრო ბედნიერია ამ მხრივ.

დიდათ სამწუხაროა, თუ აქ ამ გაჭივრების დროს უცხოეთში ჩვენ მას ვერ ვეცით საჭირო პატივი და ის გულნატკენი მოგვშორდა. თუ ეს ასეა, ვთხოვ—გვაპატიოს.

შეფიცულებს მივმართავ შემდეგი სიტყვებით:

ჩვენ მოვალე ვართ, ვინც ქაქუცას აზრს იზიარებდა, მისი სურვილი შევასრულოთ, რომელიც მან წარმოსთქვა სიკვდილის წინ:

სამშობლოში გადავიტანოთ და იქ დავასაფლაოთ. ქართველ ერს კი გადავცეთ, რომ ის უკანასკნელ წუთამდის სამშობლოს სიყვარულზედ ლაპარაკობდა და მან ქართველი ერის სიყვარული თან წაიღო. მისმა მეგობრებმა უნდა ვიზრუნოთ მის ამხანაგ შეფიცულებზე, ხელი შეუწყოთ მათ და მათთან ერთად ვიზრუნოთ საქართველოს განთავისუფლებისთვის იმ ბორკილებიდან, რომელშიაც ის დღეს იმყოფება.

მის ცოლშვილზე ყოველმა კეთილშობილმა ქართველმა უნდა იზრუნოს და მათ არ უნდა აგრძნობინოს ობლობა და მარტოობა. იმათ ყოველთვის უნდა გარს ევლებოდეს ერის სიყვარული და ყურადღება.

საქართველოს დაეკარგა საუკეთესო მამულიშვილი და მისი სიკვდილის დღე 26 ივნისი. ქართველი ერისთვის მუდამ სამგლოვიარო იქნება. სახელოვანი იყო მისი ცხოვრება და სახელოვანი და დაუვიწყარი დარჩება მისი სიკვდილიც.

12) შ. ნებიერიძე.

ძვირფასო ქაქუცა!

შენ რომ საქართველოს შავ ბედს შეები, იარაღი აისხი და ბრძოლად გახველი, ჩვენ შენთან მოველით და შემოგფიცეთ.

ცალ ხელში საქართველოს დროშა გეჭირა, მეორეში—ხმალი მამაპაპური. გითხარით რომ განუყრელათ შენთან ვიქნებოდით. სამშობლოს დახსნას შევეწირებოდით და ჩვენი სიცოცხლე შენ ჩაგაბარეთ. შენ იბრძოდი და ჩვენც გვაბრძოლებდი. ამაზედ ჩამომავლობამ ილაპარაკოს... ბელადო, დღეს შენ მშვიდი და წყანარი ხარ, წყნარი და უძრავი... ვინც მოგანიჭა მანვე მოგტაცა და უკან წაიღო შენი ჯადო-სასწაული, ის, რამაც ერის უკვდავ მისწრაფებათა მებაირაღეთ გაგხადა, თავის საყვარელ გმირად გადაგაქცია; ის, რაც მტერს რისხვასა სცემდა, ხოლო შენ შეფიცულებს და მებრძოლ ერს ვაქკაცობისა და და თავდადების შთაგონებას აძლევდა და ის, რამაც, ჩვენო საყვარელო ბელადო, ამიერიდან შენი უკვდავი სახელი გვირგვინად ჩააწნა ქართლის ისტორიას... ეხლა, ჩვენო კარგო ბელადო, შენი ცხედრის წინაშე ვართ თავმოყრილნი. ვაი ჩვენ ამ დღის მომსწრეთ. მაგრამ ბელადო, მაშინ იქ და ეხლა აქ შენი ცხედრის წინაშე პირველ ფიცს ვიმეორებთ. ვფიცავთ სამშობლოს წმინდა წარსულს და მის ტანჯულ აწმყოს, ვფიცავთ საქართველოს მომავალ დიდებას და შენს დაუვიწყარ ძვირფას ხსოვნას, რომ შენს დაწყებულ საქმეს ჩვენ გაივაგრძობთ. მხოლოდ ბელადო, შენი უკვდავი სული ჩვენთან ამყოფე და ეს შენი სიჩუმე ყიყინათ გამოგვაყოლე, რომ კვლავ ერთად ვიყოთ, ერთად ვბრძოდეთ და გამარჯვებულებმა ერთად შევსძახოთ:

«დიდება საქართველოს!»

13) ა. სულხანიშვილი.

ბელადო! არ გვეგონა, თუ ჩვენ მიერ საქართველოს მთებში მოცემულ ფიცს აქ საფრანგეთის დედა ქალაქში განმეორება დასჭირდებოდა. მაგრამ რახან ეს ასე მოხდა და რის მიზეზი შენა ხარ, აი ეხლა შენი გვამის წინაშე გიმეორებთ, რომ იმ ფიცს წმინდათ შეეწირავთ, ოღონდ შენი სული ჩვენთან ამყოფე ჩვენს გასამხნევებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტალინიზმი

კომპარტიის მე-16 ყრილობა დაიწყო და გათავდა სტალინის აპოთეოზით. «ჩვენმა კობამ» გაიმარჯვა მთელს ხაზზედ და ეს არც გასაკვირია, რადგან მას არავინ ებრძოდა; სამი ათასამდე დელეგატი, გადამწყვეტი თუ სათათბირო ხმით, ან სდუმდა ან, თუ ხმას ამოიღებდა, მხოლოდ და მარტო სტალინის და მისი «გენერალური ხაზის» საქებ-სადიდებლათ.

ნამდვილ მიზანსცენს წარმოადგენდა რიკოვ-ტომსკი-უგლანოვის საბელით ყელში გამოსვლა, მათი საჯარო მონანიება ჩადენილ ცოდვებისა და ჰომერიული ხარხარი პატიოსან კრებულისა. არა, ეს არ კმარა!—გაიძახოდენ სტალინის ჯიელნი,—საჭიროა არა მარტო დაგმოთ მარჯვნით გადახრა, არამედ უნდა შეებრძოლოთ თქვენ თვითონ ამ დანაშაულს, თავი გაიწკეპლოთო. და ისინიც გაიშხლართენ და თავისივე ნაგავში ამან-ამანს გაიძახოდენ—უუსაზიზღრესი სურათი, ოდესმე ნახული.

ლენინს, რა თქმა უნდა, არ მოზმანებია ასეთი გამარჯვება, ასეთი აპოღეა, და ყველამ იგრძნო ინსტიქტურათ, რომ მისი ვარსკვლავი ჩაესვენა და სტალინის ამობრწყინდა. არა გვგონია, რომ სტალინი ეხლა დასჯერდეს ლენინის ორდენს, რომლით მის დაჯილდოებას მოითხოვენ მისი შინაყმანი ყოველ კუთხიდან.

მართლაც, აბა დააკვირდით მოვლენათა «დიალექტიკას». ჯერ იყო და მარქსიზმი ლენინიზმა შესცვალა და კაუცკი «თავგამოლაყულ ბებრუსუნად» გამოაცხადეს; ეხლა ლენინიზმი სრულიად აშკარათ სტალინიზმა შესცვალა, და ლენინის ქურუმი ბუხარინი ყრილობაზეც ვერ ბედავს თავის გამოყოფას. დახეთ სურათებს «პრავდა-იზვესტიაში», ვის უჭირავს პირველი ადგილი, ლენინს თუ სტალინს, ვინ ვის ჰფენს სხივს? რასაკვირველია, სტალინი, და, თუ ის კიდევ ეძახის თავის თავს ლენინის მოწაფეს, ეს ისევე, როგორც ლენინი მარქსის მოწაფეს ეძახოდა თავის თავს.

ამ რიგათ, ის, რაც ფაქტიურათ არსებობდა, სიტყვიერებაშიც პოულობს თავის გამოხატულებას: სტალინი და სტალინიზმი უზენაესი კანონია, რაც მოგვცა მე-16 ყრილობამ, რასაც უნდა დაემორჩილოს და უქვეშევრდომლესათ თაყვანი სცეს მთელმა საბჭოთა კავშირმა. სტალინმა დაჩრდილა ივანე მრისხანე, ნიკოლოზ პირველი, ალექსანდრე მესამე; ასეთი თვითმპყრობელი, ასეთი თვითნება და თავრეტიანი დესპოტი ჯერ რუსეთს არ მოსწრებია.

დასავლეთში ხმა იყო გავრცელებული, სტალინი სოვნარკომის თავმჯდომარე გახდებაო. ჩვენ ვიტყოდით, მას რიურიკების გვირგვინიც კი შეეძლო დაედგა თავზედ, რა იცვლება ამით? განა გენერალური მდივანი, რომელიც «ერთხმათ აირჩიეს», არ კმარა? განა თავმჯდომარეობამ იხსნა რიკოვი? ან კიდევ უკრაინის «პრეზიდენტი» პეტროვსკი და სოვნარკომის თავმჯდომარე ჩუბარი, ვინც პოლიტბიუროში არ მოხვდენ?

მდგომარეობა ნათელია და ცხადი, სტალინი პირწავარდნილი დიქტატორია, სტალინიზმი—პროგრამა. რას შეიცავს უკანასკნელი? ინდუსტრიალიზაციასა და კოლექტივიზაციას, ევროპა-ამერიკის გასწრებასა და «კულაკის» მოსპობას, როგორც კლასისა, რაღა გავაგრძელოთ—ყველაზე ჩამორჩენილ ქვეყნის ერთბაშათ «სოციალისტურ სამოთხეში» გადაშვებას.

მერმე განა თვით დიქტატორს სწამს ასეთი ხღაპრები? არა, თავის თავათ ცხადია, არავის სწამს და არავინ ფიქრობს ამაზე, მაგრამ გეკითხებით, რას კარგვენ ამით? პროგრამის ერთად ერთი დანიშნულება ხომ დიქტატურის, ძალა-უფლების შენარჩუნებაა და არა ეს ბოდვები.

მაგრამ შესძლებს ამას სტალინი? არა, ცხადია, და სწორეთ ამიტომ უნდა მოველოდეთ მისგან ერთ უკანასკნელ ზიგ-ზაგს. მარცხნით გადახრა ანუ ტროცკიზმი უკვე მოკლულია, ვერ გააცოცხლებს ვერავითარი შელოცვა; საშიშროება მარჯვნიდანაა. მას არა ჰყავს ლიდერები—რიკოვები ანგარიშში ვერ შევლენ—. არა აქვს ორგანიზაცია, არც დაწერილი პროგრამა, მაგრამ მთელი ცხოვრების მიდრეკილება, განვითარების ულმობელი კანონი სწორეთ აქეთკენაა მიმართული. სტალინმა იცის ეს—არც ისე სულელია, როგორც რუსები გვიხატავენ—და ამიტომ ცდის ალბათ მემარცხენე ფრაზეოლოგიით მემარჯვენე საქმე აკეთოს.

მაგრამ აქაა სწორეთ მისთვის საშიშროება, აპარატი დაინახავს ამ ზიგ-ზაგში ღალატს, რაიცა ნიშნავს კონფლიქტს თავსა და ტანს შორის, დიქტატორსა და მუქთა-ხორა აპარატჩიკებ შორის... ამათ ხომ სხვა გზა, სხვა პერსპექტივი არ დარჩენიათ, გარდა არსებულ რეჟიმის ხარჯზე არსებობისა. დაინგრა რეჟიმი, ისინი უნდა გაჰქრენ, მესამე გამოსავალი არაა.

სრულიად საბედისწეროა სტალინის მდგომარეობა. ისე, როგორც ეხლა ის ყველასი და ყველაფრის ღერძია, სდგას უმაღლეს კვარცხლბეკზედ და სათაყვანებელ კერპად ქცეულა, მთელი ხალხის რისხვაც. მისი შურისძიება და ზიზღი მის თავზედ ახდენს კონცენტრაციას. სტალინი-დიქტატორი და სტალინიზმი-რეჟიმი, აი მტერი, რომლის წინააღმდეგ უნდა გაერთიანდეს და ერთიანდება კიდეც გამწარებული და სასოწარკვეთილი ხალხი, და მის საშინელ სტიქიად ქცევა დამოკიდებულია სულ უბრალო შემთხვევაზეც კი.

გაშიშვლებულ დიქტატურას ის დადებითი მხარე მაინც აქვს, რომ ყველასათვის ადვილი დასანახია და ნიშანში ამოსაღები. ეს არის იმავე დროს უკანასკნელი ჟამი რეჟიმის არსებობისა.

ჩვენი ლოზუნგია: იყავით მზათ, ერიდეთ პროვოკაციას და ეკვეთეთ მტერს მაშინ, როცა ეს ხელსაყრელია თქვენთვის და არა მისთვის. სანამ ცენტრში არ დაწყებულა ნგრევა, პერიფერიებმა თავი უნდა შეიკავონ—აი მებრძოლთა მთელი სტრატეგია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავკასიის გეოპოლიტიკისათვის

(ბრძოლა ნავთის გამო)

I.

საქართველოს ისტორია გვასწავლის, რომ ქართველი ერის მესვეურნი და ისტორიული, პოლიტიკური საჭეს მპყრობნი, მეფენი თვით საქართველოსთვის და კაეკასიის მიმართ განსაზღვრულ პოლიტიკას აწარმოებდენ, რომელიც გამოწვეული იყო კავკასიის გეოპოლიტიკური ვითარებით.

როდესაც კი საქართველოს ჩვენი ტვირთმძიმე ისტორიის ასპარეზზე ხელსაყრელი პირობები დაუდგებოდა, საქართველოს მეფენი ყოველთვის სცდილობდენ და მუდმივად ეს მათ პოლიტიკაში შედიოდა, რომ კავკასია ხელში სჭეროდათ. ასეთი იყო პოლიტიკა ბაგრატ მესამესი, დავით აღმაშენებელის (დ. აღმ. შესახებ იხილეთ მშვენიერი გამოკვლევა ბ. ზ. ავალიშვილისა: «ჯვაროსანთა დროიდან»), დიმიტრი პირველის, გიორგი მესამესი, თამარის, ლაშა გაორგის, თეიმურაზისა და ერეკლე-პატარა კახის.

იყო ეს პოლიტიკა გამოწვეული საქართველოს მეფეთა სამხედრო იმპერიალიზმითა, უბრალო ლაშქრობათა და მარტივ დაპყრობათა მიზეზით? დამპყრობითი პოლიტიკა, ტერიტორიალური იმპერიალიზმი თავის როლს თამაშობდა, მაგრამ საქართველოს პოლიტიკაში იგი მიზეზი არ იყო, საქართველოს მეფეების საკავკასიო პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მიზანი და მისწრაფება გამოწვეული იყო თვით საქართველოს მდებარეობითა და კავკასიის გეოგრაფიული ვითარებით.

ეხლანდელი ტერმინით: ამიერკავკასია გეოგრაფიულად ერთ მთლიან ერთეულს წარმოადგენს, იმის მიუხედავადაც, რომ სურამის ქედი აღმოსავლეთს და დასავლეთს ჰყოფდა. რიონისა და მტკვრის ხეობა, ამ ორ მდინარეთა გეზი, ერთი შავი ზღვისაკენ, მეორე კასპიისაკენ, ბუნებრივათ ჰყოფდა ამიერკავკასიას ორ დაშორებულ ნაწილად.

და სხვათაშორის: ეს იყო იმის მიზეზი, რომ თვით საქართველო ხშირათ ვერ ახერხებდა გაერთიანებას.

სჩანს, თითქოს სახელმწიფო პოლიტიკა მუნებრივათ უნდა გაჰყოლოდა ერთი მხრივ მტკვარს და მეორე მხრივ რიონს. მაგრამ აქ სხვა ელემენტებიც მუშაობდა, და უმთავრესად ის, რომ ამიერ და იმიერი, ორივე ქართული იყო და მათი გაერთიანება კი აუცილებელი იყო პოლიტიკური სიძლიერის თვალსაზრისით. ამ პოლიტიკას, საქართველოს გაერთიანების პოლიტიკას საფუძველი და მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა ბაგრატ მესამემ, დავით აღმაშენებელმა განაგრძრო და აღაშენა სახელმწიფო, გააერთიანა საქართველო.

ქართველ ერს ისეთი პოზიცია ჰქონდა კავკასიაში, რომელიც მისი პოლიტიკის მოკარნახე და მაწარმოებელი უნდა ყოფილიყო.

საქართველოს გაერთიანებით რიონ-მტკვრის ხეობა, გამყოფი სურამის ქედი თავის მნიშვნელობას ასუსტებდა, და და ცენტრალურ ძალაუფლების შექენით, ქართული ტფილისი იწყებდა პოლიტიკურ ბატონობას.

გეოპოლიტიკურ ძალთა ხაზები მუდმივად ტფილისისაკენ მიიმართებოდა. ეს გეოპოლიტიკური ძალთა ხაზები არის პოლიტიკური ძალების განვითარების სივრცითი მამირთულება. ქართველი მეფე ტფილისისაკენ მიიწევდა და როდესაც ტფილისი იწყებდა პოლიტიკურ ბატონობას, ამით აუცილებელი ხდებოდა, როგორც რიონის, ისე მტკვრის მიმართულებით ბატონობა, როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო, სტრატეგიული და ეკონომიური მოსაზრებით. თუ გნებავთ: ეს იყო თავდაცვის პოლიტიკა და აი რატომ. კავკასიამი მტერი იჭრებოდა ჩრდილოეთიდან დვალეთის ანუ არდონის კარებით და დარიალის კარებით. საქართველოს ეს კარები მუდამ გამაგრებული ჰქონდა, თვით სისუსტის დროსაც კი. აზიის მხრიდან კავკასიაში მტერი იჭრებოდა კასპიის ზღვის ნაპირის მიმართულებით, დარუბანდის ანუ ეხლანდელი დერბენტის კარებით. სპარსეთის მხრიდან მტერი აწვებოდა მტკვრის ხეობით.

სამხრეთიდან კავკასიას მტერი აწვებოდა სომხეთის ქედით. საქართველოს მიზანი იყო, რათა თავის თავი დაეცვა: დვალეთის კარები, დარიალის კარები, დერბენტის კარები გამაგრებული ჰქონოდა, ან თვითონ თუ არ ეჭირა ხელში, მის მეგობარსა და მოკავშირის ხელში უნდა ყოფილიყო. მტკვრის ხეობა და არაქსის ხეობა სტრატეგიული თავდაცვითი ხაზი იყო და სომხეთის მთა, პლატო, ბუნებრივი ბარიერი მცირე აზიის წინაალმდეგ.

სიძლიერის ხანაში საქართველოს თვით ეჭირა ყველა ეს კარები და გზები, და სისუსტის და დაცემის დროს, იგი ცდილობდა იმ სახელმწიფოებთან და სამთავროებთან, რომელიც აქ ბატონობდენ მეგობრული კავშირი და განწყობილება ჰქონოდა. სამაგალითოდ ავიღოთ პატარა კახის პოლიტიკა, რომელსაც ყმად ნაფიცად ჰყავდა განჯისა და ერევნის ხანი, და მისი მოკავშირე-მეგობარნი იყვნენ: ყაზახი, შამშადილი, შამქორი, ყარაბახის ხანები და მმართველები და სხვ.

ეს იყო აუცილებლობა, რომელსაც კარგათ ხედავდენ საქართველოს მესვეურნი და სცდილობდენ მის გზაზე სვლას. და ამის მიზეზი იყო კავკასიის გეოგრაფიული ვითარება.

5.

და კავკასიას კი ყოველ მხრიოან აწყდებოდა დამპყრობელთა ტალღები. ჩრდილოეთიდან, დასავლეთიდან, სამხრეთიდან, სამხრეთ-დასავლეთიდან.

უხარმაზარი იმპერიები: სპარსეთი, რომი, არაბეთი, ბიზანტია, სელჯუკები, მონღოლები და სხვები, ეხეთქებოდენ კაკასიის საზღვრებს, ერთჯერ და

ორჯერ არ აოხრებულა და განადგურებულა კავკასია; ერთჯერ და ორჯერ არ ყოფილა იგი დაპყრობილი; იმპერიები იმპერიებს სცვლიდენ, იმსხვრევოდენ, და კავკასიის ბჭეს ბრძოლა მაინც არ სცილდებოდა. კავკასია ყოველთვის იყო და არის სანუკვარი, სანატრელი მხარე ყოველ მხრივ.

ძველი იმპერიები და ახალნიც კავკასიაში ხედავდენ თავისი ზრდისა და გაფართოვების წვეროს. ზრდისა ან გაფართოების წვერო, დასაბჯენი ადგილი, არის «რომელიმე სახელმწიფოს მიერ სხვა, უცხო საცხოვრებელ სივრცეში საკუთარი პოლიტიკური დასაყრდნობი წერტილი და მისი შექმნა». ამ გაფართოების წვეროს როლს კავკასიაში ყოველთვის ასრულებდა ტფილისი. ეს გაფართოების წვერო არის «საბოლოო პუნკტი გეოპოლიტიკურ ძალთა ხაზებისა და შესაფერ პირობებში გამოსავალი, დასაწყისის წერტილი ახალ ძალთა ხაზებისათვის». ტფილისის ხელში ჩაგდებით დამპყრობელი ძალა, ამგვარად, ბუნებრივად მიემართებოდა მთელ დანარჩენ მხარეზე გასაბატონებლად. და აი, ყველა იმპერია აქეთ ილტვოდა.

ძველი ისტორიკოსი ამიანე მარცელინუს მოგვითხრობს იმის შესახებ, რომ 361 წელს, რომაელებმა ძლივს დაამარცხეს სპარსეთიო. «მათ (რომაელებს) ეშინოდათ გაზაფხულზე (სპარსეთი) უფრო ძლიერად არ შეგვებრძოლოსო და ამიტომ ტიგროსის იმიერი ქვეყნების მეფეებსა და მთავრებს ძღვენი მიუგზავნეს და ცდილობდენ მათი გული რომაელებისათვის მოეგოთ. განსაკუთრებით რომაელები არრას ზოგავდენ, რომ ბრწყინვალე სამოსლებითა და მრავალგვარი საჩუქრებით სომხეთის მეფე არშაკი და იბერიის მეფე მირიჰანი თავიანთკენ მიემხროთ, იმიტომ რომ თუ იმგვარ გაჭირვებულ მდგომარეობაში, როგორშიაც რომაელები იმყოფებოდენ, სომხები და ქართველები სპარსელებს მხარს დაუჭერდენ, რომაელების საქმისათვის მათ შეეძლოთ დიდი ვნება მიეყენებიათო».

ასე აფასებს კავკასიის გეოგრაფიულ მდგომარეობასა და სამხედრო მნიშვნელობას ძველი ისტორიკოსი. მაგრამ ამგვარადვე ესმოდათ ეს საკითხი თვით ქართველებსაც.

მეექვსე საუკუნის ქართველი ზაქარია, რომელმაც აღწერა პეტრე ქართველის წმინდა ცხოვრება, კერძოდ იბერიის შესახებ შემდეგს სწერდა: იბერია ის ქვეყანა არის, რომელსაც «ყოველთვის ჰრომაელებთან და სპარსელებთან ბრძოლა პქონდა იმიტომ, რომ თვითეული იმ ერთაგანი, მფარველობის აღმოჩენის დროს, სულ იმაზე ფიქრობდა, რომ მთელ ამ ქვეყანას როგორმე დაჰპატრონებოდა»-ო.

ის ქვეყანა, სადაც რომელიმე სახელმწიფოს გეოპოლიტიკურ ძალთა ხაზები ერთებიან, ან ერთმანეთს შორდებიან და სხვა სახელმწიფოების ძალთა ხაზებს ხვდებიან ან ეჯახებიან,—არის ძალთა ასპარეზი». კავკასია სწორედ რომ ასეთ ასპარეზს წარმოადგენს. ანუ თუ სიტყვას მივცემთ ილია ჭავჭავაძეს, იგი ვვეტყვის: «რა არ გადაგვხვედია თავს, რა მტრები არ შემოგვსეეიან, რა ვაივაგლახი, რა სისხლის ღვრა, რა ღრჭენა კბილთა არ გამოგვივლია, რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზე... გავუძელით საბერძნეთს, რომსა, მონღოლებს, არაბებს, ოსმალ-თურქებს, სპარსელებს, რუჯულიან და ურჯულოს»... და ეს საშინელი ამბავი გადახდა თავს კავკასიის ყველა ბინადარს, რადგან კავკასიაში ეჯახებოდენ ერთმანეთს ყველა საიმპერიო ძალები: რადგან კავკასია იყო და არის გეოპოლიტიკურ ძალთა ასპარეზი.

ამის მნიშვნელობა გაგებული ჰქონდათ და იყო სრულიად გარკვეული შეხედულება საქართველოს გეოგრაფიულ-პოლიტიკური როლის შესახებ, რაც ბუნებრივად ლოგიკურად ვრცელდებოდა საერთოდ კავკასიაზე; როგორც ვთქვით, ესევე შეხედულება ესმოდათ ქართველებს არა მარტო თეორიულად, არამედ ყოველთვის ცდილობდენ პოლიტიკურ ცხოვრებაში მის განხორციელებას.

ამტკიცებენ, რომ ამ საკავკასიო პოლიტიკას საფუძველი ჩაუყარა მეხუთე საუკუნეში ვახტანგ გორგასლანმა. ეს ჯერ სადაოა, მაგრამ უდავოა და ფაქტი, რომ ბაგრატ მესამეს შემდეგ ამ პოლიტიკას, კავკასიურ პოლიტიკას, რეალური მნიშვნელობა ჰქონდა და მის განხორციელებას დიდი ენერგია შეეწირა. როდესაც საქართველო ძლიერი იყო, იგი ილტოდა კავკასიის ხელში ჩაგდებისაკენ იმ მნიშვნელობის გამო, რომელიც მას ჰქონდა და აქვს, და როდესაც საქართველო თვით იყო სუსტი და ილაჯგაწყვეტილი, იგი მეგობრობასა და კავშირს ეძებდა კავკასიის დანარჩენ სამეფოებთან და სამთავროებთან. ასე იყო ყოველთვის. მთელი ისტორიის მანძილზე ეს მუდმივი ცდა არსებობს, და ეს ამტკიცებს იმ სახელმწიფოებრივ გონიერებასა და მიზანშეწონილებას, რომელსაც ქართული პოლიტიკის მესვეურნი იჩენდენ.

მაგრამ მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს და უფრო ადრე კიდევ ილაჯგაწყვეტილი და დასუსტებული აღმოსავლეთი საქართველო რუსეთისაკენ შვრება პირს და დროთა განმავლობაში რუსეთი შემოდის დარიალის კარებით და საქართველო ხდება რუსეთის ბაზად, გაფართოვების წვეროდ, კავკასიის დაპყრობისათვის. ტფილისის ხელში ჩაგდების შემდეგ რუსეთის ზრდა ლოგიკურად მიმდინარეობდა კასპიისა და შავი ზღვისაკენ, რაც სისხლით იქნა მიღწეული. დიდი ომის დროს რუსეთის იმპერია დაიმსხვრა,—კავკასია განთავისუფლდა, წითელი რუსეთი შემოიჭრა დარუბანდის კარებით:—დაიპყრო ბაქო და ბაქომ ეხლა ძველი ტფილისის ისტორიული როლი ითამაშა: გახდა უცხო იმპერიის დამპყრობელ ფუძედ.

ვიკ. ნოზაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო ციფრებით

(ცდა ჩვენი ქვეყნის ეროვნულ მეურნეობის მიმოხილვისა)

(გაგრძელება)

17.

დიდი მომავალი მოელის ჩვენში ჩაის საქმეს. მას საკმაოდ გრძელი ისტორია აქვს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, აქამდე ვერ მოხერხდა მისი შარა გზაზე გამოყვანა. საქართველოში პირველად ჩაის ბუჩქი ოზურგეთის მაზრაში გაშენდა. ეს მოხდა პირველი ვორონცოვის «ნამესტნიკობის» დროს, როდესაც ჩაის რამოდენიმე ბუჩქი საცდელათ დარგო თავის მამულში ვარლამ ერისთავმა. ამ ცდამ უშედეგოთ ჩაიარა, თუ შედეგათ არ ჩავთვლით იმ გარემოებას, რომ რუს-ოსმალოს ომის შემდეგ, ოზურგეთიდან ჩაის ბუჩქი გადმოიტანა თავის მამულში ვინმე პოლკოვნიკმა სოლოვცოვმა და შეეცადა კომერციული ხასიათი მიეცა ამ ახლად გაჩენილ დარგისათვის. ეს ის დრო იყო, როდესაც რუსის მთავრობა გაჩქარებულის ტემპით ურიგებდა, ძალიან შეღავათიან პირობებში, მამულებს რუსის მოხელეებს, ჩაქვა-ქობულეთის მხარეზე. ერთი ასეთი მემამულეთაგანი ის სოლოვცოვი იყო და აი მისგან გაშენდა შემდეგ ბათომის ახალ რაიონში ჩაის პლანტაციები. ამ პლანტაციების ზრდა გასაოცარის კუს ნაბიჯით მიდოდავდა, ასე რომ ვერ მოხერხდა მისი დიდ საქმეთ გადაქცევა. ცოტა რამ გაფართოება მაშინ დაეტყო, როდესაც საუფლისწულო მამულები გაჩნდა ჩაქვაში. შემდეგ ამას მოყვა პაპოვის პლანტაციები, სიბირიაკოვის და სხვათა. ბოლოს ქართველი მწარმოებელნიც ჩაერიენ ამ საქმიანობაში: ნაკაშიძე, საბაშვილი, ჭყონია და სხვა.

საქართველოსთვის ჩაის პლანტაციები ორნაირად არის ძვირფასი რამ შემოღება. ჯერ იმითი, რომ იგი მართლაც და ძვირფას გადამუშავებულს პროდუქტს იძლევა და ეს გადამუშავება შინვე, საქართველოს ფარგლებში, ხდება. მეორე კიდევ იმითი, რომ ჩაის საპლატანციოთ სწორეთ ისეთი მიწებია საჭირო, რომელიც წინათ თითქმის არაფრისთვის იყო გამოსადეგი.

1915 წელს გაშენებული იყო 893 დესეტინა ჩაის პლანტაციებისა; მოქმედობდა 15 ჩაის ქარხანა, სადაც ხმელი ჩაის გამოსავალი უდრიდა 162.000 კილოგრამს.

«ჩინური» ხარისხის ჩაი მიღებული იყო ჩვენში სულ 10.000 ფუთი. ფუთი 40,5 მანეთად იყიდებოდა და ამგვარად ჩაის სრული მოსავალი შეფასდებოდა 405.000 ოქროს მანეთათ.

ის ხუთ წლიანი გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიის და სასოფლო-მეურნეობის ზრდას, ერთობ დიდს ყურადღებას აძლევს ჩაის პლანტაციების გაფართოებას და ჩაის ფაბრიკების გამრავლებას და გაუმჯობესობას. თუ მივიღებთ სახეში, რა დიდს როლს თამაშობს რუსის ერის კვებაში ჩაის სმა და რა აუარებელ ფულს ხარჯავს რუსეთი ჩინეთიდან ჩაის მოსატანად, ჩვენ გვჯერა, რომ ამ დარგში ხუთწლედის გეგმა საკმაოდ ვრცლად იქმნება შესრულებული: თავის თავად ცხადია, რომ აწინდელი რუსეთი შეეცდება თავას ყურმოჭრილ პროვინციაში გაიჩინოს ის, რის ყიდვაც უფრო ძვირათ სხვაგან უხდება. ეს კია, რომ კერძო პლანტატორებს მალე აუცრუვდებათ გული, სწორედ ფასების გამო. ამ შემთხვევისთვის არის, რომ ცდილობენ და ენერგიულათაც საჭოთა მეურნეობის სექტორების გადიდებას.

წინათაც იყო ცნობილი, რომ ჩაის პლანტაციებისათვის გამოსადეგი მიწები საქართველოში გაცილებით მეტია, ვიდრე ეს თავში ბევრს ეგონა. ამისთანა მიწების ფართე ისახებოდა 60.000 დან 120.000-ს ჰექტარამდე.

ამ ჟამად ჩვენ უფრო სწორი აღწერები გვაქვს ამნაირის მიწების. ხუთწლედის გეგმით ნავარაუდევი იყო 1934 წლისათვის ჩაის პლანტაციების ფართე 40.000 ჰექტარამდე აეყვანათ. როგორც სჩანს ადგილობრივი პირობები შესაძლებლობას იძლევიან ეს რაოდენობა 60 ათასამდე მიიიყვანონ. თუ ეს ასრულდა შემდეგ წლებისათვის კიდევ დარჩება ბევრი ადგილი, თუ ამას საჭიროება მოითხოვს, ე. ი. თუ მოხერხდა ყველა იმ ჩაის გასაღება, რომელიც ყოველ წლივ 40.000 ჰექტარზედ მოვა.

გეგმამ ჩაის მეურნეობის განვითარების სურათი 1934 წლისათვის გაითვალისწინა შემდეგი სახით (ნ. რ—ძე, გაზ. კომ.):

	1928 წ.		1934 წ.	
	ჰექტარი:	პროც.:	ჰექტარი:	პროც.:
აჭარისტანი	1696	42	6889	17
ოზურგეთის მაზ.	1423	36	13975	35
ქუთაისის მაზრა	—	—	700	2
სენაკის მაზრა	115	3	3015	8
ზუგდიდის მაზრა	396	10	8756	21
აფხაზეთი	365	9	5865	15
სულ საქართ.	3.995	100	39.200	98
სოჭის რაიონი	—	—	800	2
ს უ ლ	3.995	100	40.000	100

ჩაის კულტურისა და მრეწველობის განვითარებაზე ხუთწლიანი გეგმით უნდა დაიხარჯოს— 171.055.000 და იმედოვნებენ, რომ 1940 წლისათვის «ჩვენი საკუთარი ჩაის ფაბრიკები 1940 წლისათვის დაამზადებენ 20.000.000 კილოგრამ ჩაის, რაც 60-65 პროცენტით დააკმაყოფილებს მთელი კავშირის მოთხოვნილებას, ე. ი. ჩვენს ქვეყანას (მთელ კავშირს რასაკვირველია. -ლი-გ.) საშუალებას მისცემს ყოველ წლიურად დაზოგოს 30-35 მილიონი მანეთი.

გასაკვირველი არ არის, იქ სადაც სრულიად რუსეთისათვის ყოველ წელს 35 მილიონ მანეთის დაზოგვას ელიან, იქ სახეიროა 171 მილიონის დახარჯვა ხუთი წლის განმავლობაში. აი კიდევ ერთი მაგალი-

თი, როდესაც ჩვენი ქვეყანაც, საქართველოც, ნახავს რიქოშეტით, თავის ხეირსა. მაგრამ როდესაც ქართველი კაცი გაიხსენებს ყველა იმ უბედურებას, რომელიც, მის სამშობლოს მიაყენეს ყველა ჯურის ბოლშევიკებმა—მაინც ვერ იტყვის «თითო ჭირი მარგებელიაო»...

1900 წლამდე, მთელს დედა მიწის ზურგზედ ამზადებენ 37 მილიონ ფუთ ჩაის. აქედან ჩინეთზედ მოდიოდა 17 ნახ. მილ. ფუთი. აღნიშნულს წლიდან პირველი ადგილი უკვე ინდოეთსა და ცეილონს მიეკუთვნა. ინგლისი, როგორც საკუთარი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ისე სხვა ქვეყნებში გასაყიდათ, უმთავრესად ინდოეთიდან და ცეილონიდან ღებულობს ჩაისა.

აი როგორ იყო დანაწილებული, 1900 წელს, ჩაის ექსპორტი იმ ქვეყნებში, სადაც ეს ძვირფასი მცენარე ხარობს:

	ღირებულობა ექსპორტის ოქროს მანეთში
ინდოეთიდან	56,7 მილიონი
ჩინეთიოან	53,7 „
ცეილონიდან	32,6 „
იაპონიიდან	8,5 „

ყველაზე მეტად ჩაის ინგლისში და რუსეთში ხმარობენ.

საქართველოსათვის უახლოესი ბაზარი რუსეთია, მხოლოდ საჭიროა ჩაი ისე გამოდიოდეს ფაბრიკებიდან, რომ ამ ქვეყნის მოსახლეობის გემოვნებას მიუდგეს.

საზოგადოთ ყველაზე დიდ სიძნელეს უცხოეთში გემო-კვების პროდუქტების გასაღებაში ის შეადგენს, რომ მსყიდველთა გემოვნებას და ჩვეულებებს უნდა შეეწყოს ხელი და ყველა ექსპორტის ქვეყნების ყურადღება აქეთაა მიქცეული. დასაწყისში, ასე 80-90 წლებში ჩვენებურ ჩაის იმას უწუნებდენ, რომ მას თითქო რაღაცა ბალახეულის გემო მოსდევდა; მართალია ეს გარეშე გემო სულ ცოტაოდნათ ეტყობოდა, მაგრამ იგი მაინც ხელს უშლიდა ექსპორტის ზრდას: იმისდაგვარად რაც უმჯობესდებოდა ჩვენში ჩაის ფაბრიკაციის ტექნიკა, ეს ნაკლი მას თანდათან სცილდებოდა, ასე რომ დღეს აღარაფრით განირჩევა ჩვენებური ჩაი სხვა ქვეყნის სორტებიდან.

საქართველოში ამ ჟამად დიდად საინტერესო ცდები ხდება ჩაის სორტების გაუმჯობესობის და შერჩევისათვის.

ოფიციალური წყაროები ასე გადმოგვცემენ ამ ცდების მსვლელობას:

«ხარისხის გაუმჯობესებასთან ერთად გამომუშავებულ იქმნა დამზადებულ ჩაის სტანდარტები ინგლისური და ჰოლანდიური ჩაის ფაბრიკების მიერ გამომუშავებული ტიპების მიხედვით. ამასთან დაკავშირებით გაიზარდა ჩაის ყველაზე მეტად გავრცელებულ ხარისხების ე. წ. ბროკერების დამუშავება. 1927-28 წლის ჩაის მოსავლიდან დამზადებული პროდუქცია, რომლის ნიმუშები შესაფასებლად გადაეგზავნა უცხოეთის ფირმებს, ლონდონის უდიდესი ბროკერის ჩაის ფირმებმა ღირსებით გაუთანასწორეს ინდოეთის და ცეილონის ჩაის პროდუქციას».

გაუმჯობესობის საჭიროება მარტო საქართველოს ჩაის არ სჩემებია. ვისაც შემთხვევა ქონდა საფრანგეთში ეცხოვრა წარსული საუკუნის ოთხმოციან წლების მიწურულებში, იგი დაგვეთანხმება, რომ ცეილონის ჩაისაც მოსდევდა რაღაც არა სასიამოვნო ჩალის გემო. დღეს ეს ნაკლი მოცილებული აქვს ცეილონის ჩაის, თუმცა ვინც ჩინურ ჩაის ხარისხებზეა მიჩვეული, მას ეს უკანასკნელი უფრო მოსწონს.

ასეა კაპრიზებით აღსავსე გემო-კვების პროდუქტები და ამიტომაც არის საჭირო მომხმარებელის გემოვნების შესწავლა, რადგან ყოველთვის არ მოხერხდება მიქოიანის დეკრეტების ძალით გასაღება საბაზრო საქონლისა—ჩვენი ქვეყნის უახლოვეს ამოცანას მცოდნე სპეციალისტების და ინსტრუქტორების მომზადება შეადგენს. ამისათვის აუცილებლად საჭიროა სწავლულ აგრონომების გაგზავნა ინდოეთსა და ცელონზედ, სადაც ჩაის პლანტაციის გაშენება უკეთესად არის დაყენებული ვიდრე სხვაგან. ინდოეთ ცეილონის პლანტაციები, უმთავრესად, ინგლისელებს ეკუთვნის და ჩაის ბუჩქის გაშენება იქ თანამედროვე მეცნიერების და მეთოდების მიხედვით სწარმოებს.

საყურადღებოა აგრეთვე იაპონიის ჩაის მოვლის და ფაბრიკაციის წესების შესწავლაც. თითო სახელმწიფოს და ერს, ჩაის საქმეში, რაღაც თავისებური შეაქვს, რომლის გაცნობა ერთობ საჭიროა, თუ გვსურს ეს საქმე ფართეთ და კომერციულად დავაყენოთ ჩვენში.

ერთ წიგნში, რომელიც რუსეთის ყოფილმა სავაჭრო სამინისტრომ გამოსცა ომის წინ, ასეა დახასიათებული ეს თავისებურობანი:

ბადალი არ ყავთო:

ინგლისელებს—ჩაის პლანტაციების გაშენებაში.

იაპონელებს — ჩაის მოვლა-გამოყენებაში.

ჩინელებს — ჩაის ფურცლის მოკრეფაში.

როდესაც «ცარიზმის» დროს ტფილისიდან განსაკუთრებითი ექსპედიცია გაიგზავნა ცეილონზე, ჩაის საქმის გასაცნობათ და შესასწავლად, იმ ექსპედიციის მონაწილენი სულ კლინგენები, სიმენსონები და ბარკგრაფები იყვნენ და ვერ მოხერხდა ერთი ქართველი აგრონომის გარევა ამ ექსპედიციაში. ჩვენ ძალიან კარგად გვახსოვს ერთ ქართველ აგრონომის წადილი ჩაის ტექნიკის შესასწავლად გაყოლოდა ექსპედიციას, მაგრამ რუსის ოფიციალურ წრეებში სასაცილოდ ქონდათ აგდებული ის გარემოება, რომ ქართველებმაც მოისურვეს ცეილონზე გამგზავრება.

საჭიროა ეხლა მაინც შესწორდეს ეს ნაკლი...

(გაგრძელება იქნება)

—ლი—ვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტამბულის სავანის ავკარგი

ბევრმა ქართველმა არც კი იცის, რომ კოსტანტინოპოლში აგერ უკვე სამოცდაათი წელიწადი არსებობს ქართული კულტურულ-რელიგიური დაწესებულება-კათოლიკური მონასტერი, თურქების მიერ «გურჯი ქილისად» წოდებული. მისი ყოფნა დედამიწაზე ზოგიერთებმა მხოლოდ მაშინ შეიტყვეს, როცა ქართველ ემიგრანტების გემი ოტტომანის ტატტის ქალაქს მიცურდა და გადმოხვეწილთა თვალსაჩინო ნაწილმა პირველი თავშესაფარი ლურჯქამრიან ბერების სავანეში ჰპოვეს.

გასული საუკუნის სამოციან წლებში მღვდელი პეტრე ხარისჭირაშვილი ამ მონასტრის დაფუძნებას რომ შეუდგა, ძველ ანაფორის ჯიბეში მხოლოდ რამდენიმე საქართველოდან ჩამოყოლილი სპილენძის ხურდა ედო, მაგრამ თანახლდა უფრო მეტი რამ ვიდრე ფული—შეურყეველი ნებისყოფა და დაუღალავი ენერგია! კოსტანტინოპოლელ სომხებისა და უცხოელების დახმარებით მ. ხარისჭირაშვილმა შეიძინა თვალსაჩინო ზომის უძრავი ქონება და ასე, დაწყებულ საქმეს მიჰყვა ბოლომდის, ვიდრე არ ააგო ეკლესია, საცხოვრებელი ბინები და სკოლისა და სხვა საჭიროებისათვის გამოსადეგი შენობები. სულ მცირე დროში მონასტერი გადიდდა, გაფართოვდა და მრავლიც შეიძინა.

ამ წერილის საგანს მონასტრის ისტორიის აღწერა არ შეადგენს, თუმცა ეს მეტად საინტერესო უნდა იყოს ყოველ ქართველისათვის. მკითხველის ყურადღება ჯერხნობით მინდა სხვა კერძო გარემობაზე შევაჩერო, რამაც მონასტრის ცხოვრებაში თავი იჩინა უკანასკნელ წლებში და რის შედეგი შესაძლებელია სრულებით მოულოდნელი აღმოჩნდეს მონასტრისათვის: საქმე იმაშია, რომ სავანემ იმ თავითვე თავი მოუყარა როგორც ბერებს, აგრეთვე მონაზონებსაც, ესე იგი დაწესდა ფაქტიურად ორი მონასტერი. მამათა და დედათა—ორთავე ერთიდაიგივე სახელწოდებით: ღვთისმშობლის უმანკო ჩასახვის მონები. მონაზონებმა დაარსებიდანვე ხელი მიჰყვეს საპედაგოგიო მოღვაწეობას, მათ სკოლაში სწავლას იძენენ როგორც ქართველი, აგრეთვე უცხოელი ქალიშვილებიც.

დროთა სვლაში სავანეში წამოიჭრა კითხვა ქონების დაყოფისათვის ორ ნაწილად და აი ამ ამბავმა გამოიწვია ის გარემოებანი, რომელთა შესახებ ქვემოდ საუბარი მექნება: მღვდელ ხარისჭირაშვილს არ გაჰვლებია თავში ის ჰაზრი, რომ მონასტრის მობინადრეთა შორის ოდესმე აღიძრებოდა დავა ქონების გაყოფის თაობაზე. ამის გამო მან გულუბრყვილოთ დატოვებულ ანდერძში ეს მომენტი უყურადღებოთ დასტოვა. მამათა მონასტრის მკვიდრთ ეს გარემოება ისე გაიგეს, თითქოს მონასტრის მთელი სამკვიდრებელი მათ უდავო საკუთრებას შეადგენს, ხოლო როდესაც კითხვამ საშფოთო მიმართულება მიიღო, მონაზნებმა ასეთს «ინტერპრეტაციაზე» პროტესტი განაცხადეს და გადაჭრით მოითხოვეს საკუთრების გაყოფა; დები ემყარებოდნენ სხვათაშორის იმ ფაქტზე, რომ შემოწირულებათა აქტებში თურმე ნაჩვენები ყოფილა, რომ ეწირებათ ორივეს. დავის გამწვავების საბაბმაც სულ მალე იჩინა თავი: ქემალფაშის მთავრობამ მონასტრისაგან მოითხოვა სკოლის შენობის გადაკეთება და გაფართოვება საჰიგიენო პირობების მიხედვით; როცა მონაზონები საქმეს შეუდგნენ, დარწმუნდნენ, რომ თავისით ვერ გაუძღვებოდეენ ხარჯებს, მათ მამათა ნაწილს მიმართეს დახმარებისათვის, გარნა უარი მიიღეს; ამისა გამო მონაზონებმა უკვე გადაჭრით აღძრეს საკითხი მონასტრის მთელი ქონების ორ ნაწილად გაყოფისათვის იმ მოსაზრებით, რომ გამიჯვნის შემდგომ შესძლებდნენ ზოგიერთ უხმარი მამულის გაყიდვით სკოლის შენობის დამთავრებას. ამაზე ბერებმა შეუთვალეს, რომ უძრავი ქონება შეადგენს მამათა მონასტრის უდავო საკუთრებას; მონაზონებმა იუცხოვეს ასეთი განმარტება და რომში საჩივრით წარსდგნენ «ბერების უსამართლობისა გამო». პონტოფეკალური აღმოსავლური კონგრეგაციის მიერ დანიშული გამოძიება დღესაც არ დასრულებულა, თუმცა ამისდა მიუხედავათ ვატიკანი დედათა მონასტერს ფულით შემწეობას დაჰპირდა.

მაგრამ მიმდინარე ზაფხულს საქმემ სრულებით მოულოდნელი მიმართულება მიიღო: აღნიშნული კონგრეგაციის ერთერთი ასესორთაგანი მონსინიორ მარგუტი დაინიშნა პაპის ნუნციათ კოსტანტინოპოლში. გაოცებას იწვევდა მის ამალში ორი ფრანგი მონაზონის ყოფნა, მაგრამ სტამბულში ჩასვლისათანავე ყველაფერი გამოირკვა: მარგუტი ეწვია ქართველ დედათა მონასტერს ჩაყვანილი ფრანგი «სუორების» თანხლებით და შეშინებულ ქართველ დებს გამოუცხადა,, რომ კონგრეგაციის განკარგულებით ერთი მოყვანილთაგანი ინიშნება მონასტრის სუპერიორათ (უფროსად), ხოლო მეორე მის ასსისტენტად ეკონომისა და ხაზინადარის ფუნქციებით, ესე იგი, მოახდინა ის, რასაც სავაჭრო უფლებაში კონკურსი ეწოდება!

საზღვარგარეთ ძველ დროშიაც ჰქონია მონასტრები საქართველოს, გარნა იგინი უცხო ხალხის ყურადღებას იზიდავდნენ არა შინაურული დავიდარაბითა და სკანდალური პროცესებით: ათონის ლავრა, პეტრიწონი, სინასმთა, ჯვარის მონასტერი—ამათი მარტო ჩამოთვლა საკმარისია, რომ ჩვენს თვალწინ აღიმართოს თავისი სიმშვენიერით საქართველოს ისტორიის კულტუროსანი ქამიანობა! მათში სხვა ჯურის საქმიანობას მისდევდნენ და მუნ მობინადრეთ არცა სცალოდათ თავისშორის მიწების არშინობით დაჭრისათვის! მთელი ჩვენი ნაციონალური საეკლესიო მეცნიერება, მთელი ჩვენი ფილოსოფია, ენათამეცნიერება, ეგზეგეტიკა, მორალი, ლიტურგია, ჰომილეტიკა და ებრვე სხვა—აი რა სამკაული ეფინებოდა ქართველ ერს მისი ეკლესიისა და სამეფოის სადიდებლათ შორეულ უდაბნოებიდან! იმ დროს საზღვარგარეთელ ქართველ ბერებს საბანკროტო ობიექტად კი არ აცხადებდნენ: მათი ავტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიტეტი ისე მაღლა იდგა, რომ მათ რჩევისა და დარიგებისათვის თვით უცხოელები მიჰმართავდენ! ქართველი ბერები საძნელო საკითხებში ექსპერტებათ გამოდიოდენ (გავიხსენოთ გიორგი მთაწმიდელის დოგმატიური განმარტებანი ბიზანტიის იმპერატორის დუკას მიერ მოწვეულ საეკლესიო სათათბიროს წინაშე ბერძნებსა და ლათინებს შორის ამტყდარ დავის გამო). ქართველი ბერების სასახელო მოღვაწეობით თვით საქართველოს ენიჭებოდა სახელი და ავტორიტეტი! ეხლა კი—ჩვენი ნაციონალი ცხოვრების ისედაც უბედურ ხანაში—მთელი ქვეყნის წინაშე თითქოს ვაცხადებთ, რომ ქართველებს თვისი ქონების უბრალო მოვლის უნარიც კი წაგვრთმევია. სავანის საქმეები თუ დროზე არ მოწესრიგდა, ადვილი შესაძლებელია, რომ დედათა მონასტერი სულ ახლო მომავალში უცხოელებს ჩაუვარდეს ხელში. ფიქრი და ზრუნვა ეხლავეა საჭირო!

რ. ინგილო.

საქართველოს ამბები

(გაზეთებიდან)

დაარსდა საქართველოს მეცნიერებათა ინსტიტუტი ორის განყოფილებით: 1) მათემატიკურ-საბუნებისმეტყველო და 2) საზოგადოებრივ-ისტორიულ მეცნიერებათა. ინსტიტუტის ხელში გადადის ტფ. ყოფილი უნივერსიტეტის შენობა, მუზეუმი, ბიბლიოთეკა, და სხ.

— ქუთაისის ქართულმა დასმა, კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით ცხრა წარმოდგენა გაიმართა ხარკოვში 16 მოსკოვში. შემდეგ მოსკოვში გაიმართა ტფ. ქართული დასის წარმოდგენებიც.

— ტფ. უნივერსიტეტში ამ ქამად ირიცხება 3722 სტუდენტი; მათ შორის აჭარელია 3, აფხაზი 14, ოსი 9, რუსი 33, სომეხი 82, ებრაელი 25.—პედაგოგიურ ფაკულტეტზეა 1323, სოციალ-ეკონომიურ ფაკ. 1125 და სამკურნალოზე 1271. სტუდენტებში კომუნისტ. პარტიის წევრი და კანდიდატია 242, კომკავშირელი 954.

— ამ წლის 1 მაისისათვის საქართველოში საგლეხო მეურნეობათა კოლექტივიზაციის პროცენტი იყო 23. კერძოთ ოზურგეთის მაზრაში 54,2, სამხრეთ ოსეთში—45, სენაკის მაზ. 36,2, გორის—31,9, ახალციხის მ. 2,2 და სხ.

— საქ. კომ. პარტიაში ირიცხება 26,016 წევრი და 13,422 კანდიდატი.

— აფხაზეთში ნავარაუდევი 800 ჰექტარის ნაცვლად დაირგა 106 ჰექტარი მანდარინი.

— ტფილისის უნივერსიტეტი სახალხო განათლების კომისარიატის დადგენილებით გაიყო ოთხ ინსტიტუტად: პედაგოგიური, საექიმო, საფინანსო-კოოპერატიული და საბჭოთა უფლების ინსტიტუტი. პირველი და მეოთხე დარჩება განათლების კომისარიატის ხელში, საექიმო ინსტიტუტი გადაეცემა ჯანმრთელობის კომისარიატს, ხოლო ფინანსიურ-კოოპერატიული ცეკავშირს.

— საგეგმო კომისიის ცნობით, საქართველოს მთელ რიგ დარგებში პროდუქციის თვითღირებულობის დაკლების მაგიერ შესამჩნევი ხდება მისი ზრდა, განსაკუთრებით აბრეშუმის ძაფსაგრეხი და მარგანეცის მრეწველობაში.

— ტფილისში გეგმის გარეშე შემოზიდული კარაქი იყიდება კილო 6 მანეთად (75 ფრანკად). კარაქი მცხოვრებთ ეძლევათ დაზღვევის წიგნაკებით.

— ცენტრალურ ბაზარში მუშკოპი კონა ხახვს ყიდის 17 კაპ., კერძო პირები კი 15 კაპ., ცალ კიტრს 30-40 კაპ., კერძო პირი—30, კონა ქინძს 10 კაპ., კერძო პირი—6-7 კაპ.

— პელაგრის ავადმყოფობა დასავ. საქართველოში ისევ ვრცელდება. ავად უნდა იყოს 30 ათასამდე კაცი.

— ამა წლის მაისის აღწერილობით ტფილისში 310.000 მცხოვრებია, ამათში ქართველი 132.904 (42,9 პროც.), სომეხი 102,336 (33 პროც.), რუსი—43.045 (13,9 პროც.), ქართველი ებრაელი 1268 და სხ.

1922 წ. ქართველი იყო 80.884, სომეხი 85.309, რუსი 38.612. ხოლო 1929 წ. ქართველი 112.206, სომეხი 100.148 და რუსი 45.937.

— გორის ოლქის ზოგიერთ რაიონებში თავი იჩინეს ხელახლა «კულაკებმა», რომლებიც ცდილობენ ხელი შეუშალონ მოსავლის გეგმიანად აკრეფას.

— უწესოება რკინის გზაზე გრძელდება. ცუდი შეკეთებისა გამო ორთქლმავალები კვლავ ფუჭდებიან გზაში, ზედამხედველობა შემადგენლობების გადასაბმელ ხელსაწყოებზე სუსტია, ამიტომ მატარებლები წყდებიან. ხშირია აგენტების დაუდევრობით გამოწვეული შემთხვევებიც.

— ივნისის 29 ტფილისში გადაიხადეს დ. კლდიაშვილის 40 წლის სალიტერატურო მოღვაწეობის იუბილე.

— ტფილისში 310.000 მცხოვრებია, მუშკოოპს კი გაცემული აქვს 350.000 პურის წიგნაკი მარტო მშრომელ ელემენტებზე.

— სექტემბრიდან ტფილისში გაიხსნება ამიერკავკასიის ოთხი უმაღლესი ტეხნიკური სასწავლებელი: სატყეო მეურნეობის, ენერგეტიკული, ქიმიური და სამთომეტალურგული.

— გორის ოლქის ზოგიერთ კოლმეურნეობის გამგეობებიც ანადგურებენ სრულიად უმიზნოდ კულაკებისაგან ჩამორთმეულ ქონებას, რომელიც მათ გადაეცათ განკულაკების დროს.

ხელთუბნის არტელის წევრებმა გაყიდეს კულაკებისაგან ჩამორთმეული ქონება და მისი რეალიზაციიდან აღებული ფულები ღვინოში შესწამეს. ასეთი ფაქტები სხვაგანაც არის შემჩნეული.

— 10 ივლისს ტფილისის უნივერსიტეტის მუზეუმში მოროტმოქმედებმა გაძარცვეს მრავალი ძვირფასი ხატი შემკული მინანქარით, ოქროთი და ვერცხლით. სხვათა შორის გაძარცულია ქართული ხელოვნების ძვირფასი ნიმუში ხოფის ღვთისმშობლის ხატი, მეათე საუკუნის ნაწარმოები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკრაინელთა შორის

უკრაინაში პარტიზანული ბრძოლა ოკუპანტების წინააღმდეგ არ ცხრება. ასე, შევჩენკოს რაიონში გლეხთა ბრბო თავს დაესხა «კომიუნ ისკრას», სადაც ადგილობრივ კომუნისტებს ქონდათ კრება. შენობას წაუკიდეს ცეცხლი, რამოდენიმე კომუნისტი მოკლეს. კომუნის ბურავსკას თავმჯდომარე დაატყვევეს და ჩამოახჩეს მახლობელ ტყეში. გლეხები თავს დაესხენ აგრეთვე კოლხოზს «წითელი ოქტომბერი». დასწვეს შენობა და დახოცეს იქ მობინადრენი.

— ოდესაში სანოვაგის დიდი კრიზისია. ამის გამო ქალაქის სხვადასხვა ნაწილში მუშა-ქალების მანიფესტაციებს ქონდა ადგილი. მოგვეცით პური თორემ ვიხოცებით შიმშილითო, გაიძახოდენ მუშები.

— მრეწველობა უკრაინაში საშინლათ დაცემულია. უკანასკნელ ექვსი თვის განმავლობაში მას აქვს 30 მან. მილიონის დეფიციტი. არ არის სარეპარაციო თანხები. და თუ ასე გაგრძელდა, ქარხნები სულ მალე დაიხურება.

— მოსკოვის «პრავდა» იტყობინება, რომ მთელი რიგი ქარხნებისა უკრაინაში უკვე დაიხურა პირველი მოთხოვნის მასალის უქონლობისა გამო.

— სბარიშოპოლში (ქალაქ კიევის ახლოს) ათასამდი ქალი თავს დაესხა კომისიას, რომელიც ჩამოვიდა კოლექტივის მოსაწყობად გლეხების მიწაზე. მეორე დღეს მოვიდა ცხენოსანთა რაზმი დამნაშავეთა დასასჯელათ. რაზმს წინ შეხვდა ქალთა და ბავშთა ბრბო. რაზმზე ამ სურათმა იმოქმედა, შეაჩერა წინსვლა, გამართა მიტინგი და დაადგინა უკან დაბრუნება. ამის გამო რამოდენიმე ჯარისკაცი იქნა დატყვევებული და რაზმი დაშლილი.

საბჭოთა რუსეთში

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

მუშები რუსეთში ისე არიან დაბეგრილი, რომ ხელფასიდან მათ თითქმის აღარაფერი რჩებათ, მიუხედავათ ამისა სინდიკატთა ცენტრალურმა კომიტეტმა მათ ახალი ბეგარა დაადვა: მუშებმა ორი კვირის ხელფასი უნდა გადადვან საინდუსტრიალიზაციო ფონდისათვის. ამ ზომამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია მუშებში.

— როგორც მოსკოვის «პრავდა» იტყობინება, ცნობილი კომუნისტი აგიტატორი მაქს ჰელკ, რომელიც ექვსი თვის უკან გაიქცა ბერლინის ციხიდან, დაინიშნა კომუნისტურ აკადემიაში «სამოქალაქო ომის თეორიის და პრაქტიკის» პროფესორათ. აკადემია ამზადებს მებრძოლებს დასავლეთ ევროპისათვის.

— «სალოვკაში», როგორც იქედან გამოქცეულები მოგვითხრობენ, საშინელი ავადმყოფობა მძვინვარებს. გადასახლებულები მრავლათ იხოცებიან. განსაკუთრებით აწამებენ სამღვდელოებას. მიტროპოლიტ ვლადიმერს ტყეში ამუშავებენ, მიუხედავათ მისი ღრმა მოხუცებულობისა.

— «ცაკმა» გამოაქვეყნა დეკრეტი, რომლის ძალით საბჭოთა კავშირის ყოველ მოქალაქეს ეძლევა ფედერატიულ რესპუბლიკებში ისეთივე უფლება, როგორიც ამ რესპუბლიკათა მოქალაქეთ აქვთ. ამისათვის არც ნატურალიზაციაა საჭირო და არც სხვა რამე ზომა. ეს გარემოება აძლევს საშვალებას ცენტრალურ მთავრობას თავისუფლათ აწარმოოს კოლონიზაცია საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ნაწილებში.

— თვით საბჭოთა გაზეთების ცნობით, ანტიკომუნისტური ტერორი ძლიერდება. სხვათა შორის, მოკლეს ლიკოვი თავმჯდომარე უბნის საბჭოსი.

— საინტერესო ცნობები მოვიდა იმის შესახებ, თუ რა პირობებში გაიხსნა კომუნისტური პარტიის მე-16 ყრილობა. მოსკოვის ოპერის დიდი შენობა, სადაც უნდა გახსნილიყო ყრილობა, ერთი კვირით ადრე იქნა ალყაშემორტყმული ჩეკის საგანგებო რაზმის მიერ. ჩეკის საგანგებო კომისიამ დაათვალიერა და შეამოწმა შენობის მდგომარეობა, რომ მოსალოდნელ თავდასხმისაგან ყრილობა უზრუნველი ყოფილიყო. ყრილობის გახსნის სამი დღით ადრე თეატრი ასი მეტრით ირგვლივ იქნა გარშემორტყმული მცველების სამი წყება ხაზით. კონგრესის განმავლობაში ყოველივე მოძრაობა აღნიშნულ ზონაში შეწყვეტილ იქნა.

ნაწილი მცხოვრებლებისა გამოძევებულ იქნა სახლებიდან, დანარჩენებს კი არ შეეძლოთ დაბრუნება ბინებში თუ არა ჩეკის საგანგებო ნებართვით.

— მიუხედავათ საგანგებო ზომებისა, კურსკიდან მომავალი მატარებელი, რომელშიც ისხდენ კომუნისტურ პარტიის კონგრესის დელეგატები, გადასცდა ლიანდაგს, რადგან გზა გაეფუჭებიათ «ვიღაცეებს». მატარებელი ძლიერ ნელა მიდიოდა და ამის გამო მსხვერპლს არ ქონია ადგილი.

— პეტროგრადში ტყავი არ იშოვება. ამიტომ ფეხსაცმელების დიდი კრიზისია. პატარა სახელოსნოები უკვე დაიხურა. დიდი ფაბრიკები, სადაც ათასობით მუშაობენ მუშები, დახურის პირას არის. ტყავის კრიზისი გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ გლეხებმა დახოცეს სულ ერთიანათ ოთხფეხი ცხოველი კოლექტივიზაციის დროს რეკვიზიციის მოლოდინში.

— სტალინის მოხსენების შემდეგ პარტიის მე-16 ყრილობის წევრებს დაურიგდათ მოხსენების საილუსტრაციო დიაგრამები. დიაგრამებს შორის ერთი აღსანიშნავია—რაოდენობა ციმბირში გადასახლებულ და დახვრეტილ გლეხებისას კოლექტივიზაციის საწინააღმდეგო მოქმედებისათვის: გადასახლებულია 2 ნახ. მილიონი და დახვრეტილი დაახლ. 12.000.

— გეპეუს საგანგებო კომისიამ გაარჩია აგაბეგოვის საქმე (ცნობილი ჩეკისტი, რომელიც გადაუდგა ბოლშევიკებს) და მიუსაჯა სიკვდილი.

— ახალი პოლიტბიურო: სტალინი, კაგანოვიჩ, მოლოტოვ, კალინინ, ვოროშილოვ, კიროვ, კუიბიშევ, რიკოვ, რუზუტაკ; კანდიდატები: მიკოიან, ჩუბარ, პეტროვსკი, ანდრეევ, სირცოვ. მდივნები: სტალინი, კაგანოვიჩ, მოლოტოვ, პოსტიშევ. სტალინი არჩეულ იქნა ცენ. კომ. გენერალურ მდივნათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ბიბლიოთეკა პარიზში

ქართველ კათოლიკეთა საზოგადოებამ ივლისის 6 გახსნა პარიზში ქართული წიგნთსაცავი. გახსნას ბ. შანუან ქენეს თავმჯდომარეობით დაესწრო მრავალი სტუმარი.

ბიბლიოთეკის გამგეობა სთხოვს ქართველ საზოგადოებას მიაწოდონ ბიბლიოთეკას ქართული წიგნები, ჟურნალ-გაზეთები და სხვა გამოცემები.

მისამართი: Bibliothèque des Géorgiens.
5, Villa d' Orleans (67, avenue d' Orleans).

როგორ განვითარდა აჯანყება სოფლებში.

აჯანყება გამოიწვია საერთო გაჭირვებამ და სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციამ. სანამ უკანასკნელის განხორციელებას შეუდგებოდნენ, ბოლშევიკებმა ყველა სოფელში ახალგაზდების და «ღარიბების» ბანდები შეადგინეს უკმაყოფილოთა ასალაგმავად და მერე ძალით მოუნდომეს გლეხებს კოლექტივში შეყრა. ვისაც რამე ქონება გააჩნდა—სამი ორი ძროხა, თუთხმეტიოდე ცხვარი, ცოტაოდენი მიწა, «კულაკებათ» გამოაცხადეს, ყველაფერი წაართვეს, ყველანი დაატუსაღეს ცოლშვილით და ერივანში ჩარეკეს ციმბირში გადასასახლებლათ. იქ ბევრი ქალი და ბავშვი დაიხოცა...

პირველად აჯანყება დაიწყო ვედი-ბასარის რაიონში, სადაც თათრის მოსახლეობაა. აჯანყებულმა გლეხებმა დაიკავეს ცენტრი ბეიუკ-ვედი და მათ შეუერთდნენ ახლო-მახლო სოფლების ახალგაზდობა 600-700 კაცი. ბოლშევიკებმა საალყო წესები გამოაცხადეს და აკრძალეს ყოველი მოძრაობა საღამოს შემდეგ. ამან მოძრაობა ვერ შეაჩერა და თათრებს სომხის გლეხებიც მიემხრენ. მაშინ მთავრობამ მოლაპარაკება გამართა აჯანყებულებთან და მოსარიგებლად თავისი ერთგული ხანი აბას-ყული-ბეგი გაგზავნა. ერთხელ უარი მიიღო ხანმა გლეხებისაგან და მეორედ რომ მივიდა, ტყვიით შეხვდნენ და მოჰკლეს. რაკი ამ გზით ვერაფერს გახდნენ, ბოლშევიკებმა ძალას მიმართეს, ხოლო მილიციონერებისაგან და კომსომოლებისაგან შემდგარი რაზმი აჯანყებულებმა სასტიკად დაამარცხეს. დარალაგიოზის მაზრის 140-150 სოფელი სულ აჯანყებულთა ხელში გადავიდა. ადგილობრივმა ჯარმა უარი განაცხადა ბრძოლაზე თავის ძმების და მამების წინააღმდეგ. მთავრობამ რუსის ჯარი დაიბარა ტფილისიდან. აჯანყებულები 10 მაისამდის განაგრძობდენ წინააღმდეგობას. მერე ველარ გაუძლეს ზარბაზნებით, ტანკებით და გაზებით შეიარაღებულ მტერს, და დაიშალენ—ზოგი მთებში გაიხიზნა, ზოგი სპარსეთში გადავიდა.

მეორე ცენტრი აჯანყებისა იყო დელიჟანის მაზრა, განსაკუთრებით შამშადინის ნაწილი, აქაც აჯანყებას საყოველთაო აღტაცებით შეხვდნენ მკვიდრნი და აჯანყებულთ ყოველგან პურმარილით ეგებებოდნენ. საფიქრებელია რომ ამ რაიონში აჯანყება დღემდის არაა ჩამქრალი, რასაც ოფიციალური წრეების განცხადებაც ადასტურებს.

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ უმორჩილესად მოათავსოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში შემდეგი:

ქართულმა სასპორტო საზოგადოებამ «შევარდენმა», უკვე ერთი თვეა, რაც მოაწყო ტანსავარჯიშო (გიმნასტიკის) სექცია. აღებულია სათანადო დარბაზი, სადაც სწარმოებს სისტემატური ვარჯიშობა. აქამდე სავარჯიშოდ დანიშნულია კვირაში ერთი საღამო ოთხშაბათობით 8 სამმეოთხედ საათზე.

ამავე დროს იმავე დარბაზში ხდება ვარჯიშობა-შესწავლა ფარიკაობის და კალათბურთის თამაშში გაწვრთნა.

ყველა სექცია უზრუნველყოფილია სათანადო გამოცდილი ხელმძღვანელებით.

ფეხბურთის გუნდი ინტესივურად ემზადება საზამთრო შეჯიბრებისათვის.

სექტემბრის პირველ რიცხვებში განზრახულია ქალთა განყოფილების დაარსება—ტანვარჯიშობის, კალათ ბურთის, ჩოგბურთის (ტენისი) სექციებით.

«შევარდენი»-ს სხვადასხვა სექციებში ჩაწერის მსურველთ უნდა შეავსონ საწევრო ფურცელი, რომლის მიღებაც შეიძლება სავარჯიშო დარბაზში: 79, rue Denfert-Rochereau. (Ar. 14) ყოველ ოთხშაბათს საღამოს 9-10 ნახ. საათამდე.

პატივისცემით შევარდენის გამგეობა.

გვთხოვენ გამოვაცხადოთ.

საქ. სოც.-დემ. პარტიის საზღვარგარეთელ ბიურომ მიიღო ოდენკურიდან (დ. ლომთათიძისგან) იქაურ ქართველთა ასოციაციის წევრების მიერ ჩვენი ეროვნულ დღესასწაულის 26 მაისის აღსანიშნავად ამ დღის დღიური ხელფასი გადადებული ქართველ პოლიტიკურ გადასახლებულთა და ტუბერკულოზით დაავადმყოფებულთა სასარგებლოდ, სულ რვაას ორმოცდა თოთხმეტი ფრ. (854 ფრ.).

სია შემომწირველთა:

ერ. ურუშაძემ—50 ფრ., ე. აბულაძემ 30 ფრ., მ. ბურძგლამ 30 ფრ., ს. ჩიქვილაძემ—29 ფრ.; ა. ხომერიკმა, მ. შარაბიძემ, აქ. კვირკელიამ, კ. ჩხაიძემ, თ. მუხაშარიამ, მ. ჯინჭარაძემ, ვ. ჩხიკვიშვილმა, ნ. ორაგველიძემ, დ. ლომთათიძემ, შ. ბერიძემ, კ. დოლიძემ, ი. სალუქვაძემ, ლ. ჩარკვიანმა, კ. შარაბიძემ, დ. კვირკველიძემ, ყ. ჩაჩუამ, ვ. თავბერიძემ, ვ. ზამბახაძემ, გ. გრიგორაშვილმა, ს. მათითაიშვილმა, კ. ბოკუჩავამ, ტ. ყიფიანმა, ავ. ურუშაძემ, შ. ქურიძემ, ქ-ნ მ. ხელაძისამ, ს. მელიავამ—თითომ 25 ფრ.; ვ. მარჯანიძემ—20 ფრ., ალ. ჯინჭარაძემ—15 ფრ.; ი. შავდიამ, პ. აბრამოვმა და ვ. კაკაბაძემ—თითომ 10 ფრ.

დასაბეჭდი წერილები, ფული და სხვა უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:

M-r OURATADZE
10. rue Jules-Ferry. Leuville-s-Orge (S.-et-O.)
France

Arpajon — Imprimerie de *La Gazette de Seine-et-Oise*. Le Gérant : A. LARGILLIÈRE.